# დროება

ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

№ 51 პარასკევი, 6 მარტი 1909 წ. № 51

გაზეთი «დროება» სურათებიანი დამატებით ერთის წლით ღირს 8 მან. 50 კაპ., ნახევარი წლით—5 მან. 10 კ., ერთის თვით—1 მან. გაზეთის გამოწერა შეიძლება ყოველ თვის პირველ რიცხვებში.

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ.; უკანასკნელზე—10 კაპ., სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითოჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მან.. ოთხი საათის შემდეგ მეტი ეღირება.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება «დროების» რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე, საღამოთი 5-დან 8-მდე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავ მცირე წერილებს და კორესპონდენციებს ... ხავს. ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა დილის ... საათიდან დღევის 3 საათამდე.

ადრესის გამოცვლა ტფილისიდან ტფილისს გარედ ღირს 1 მან., ხოლო სხვაგან 40 კაპ.

რედაქციის ადრესი: ტფილისი დიდი ვანქის ქ. N 12.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція газ. «ДРОЭБА».

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური.

დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპ.



ხვალ, შაბათს, 7 მარტს, კუკიის სასაფლაოზე გარდახდილი იქნება წლის წირვა და პანაშვიდი უდროვოდ დაკარგულის დაუვიწყარ და საყვარელ შვილის და დის

**ნინო ივანეს ასულის მირზაშვილის**

სულის მოსახსენებლად, წირვა დაიწყება 12 ს., პანაშვიდი—1 საათზე. (1—6.—1)

**ალექსანდრე დიმიტრის ძე გუგუშვილი** გულითადის მწუხარებით აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას ძვირფას დედის

**ელისაბედ ზაალის ასულის გუგუშვილისას.**

გასვენება დანიშნულია შაბათს 7 მარტისთვის სუჯუნის წმ. გიორგის ეკლესიაზე 10 საათზე დილით. (1—კგ.—1)

მცირედი ავადმყოფობის შემდეგ ქალაქ ახსაბადში გარდაიცვალა სამხედრო უწყების მღვდელი

**დიმიტრი გაჩეჩილაძე,**

რასაც გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებულის უახლოესი ნათესავები **მაგდანი და მარიამი, მათე და დარია იანქოშვილნი, მაგდანი იმერლიშვილისა, ვანო გაჩეჩილაძე, ოლღა და ზაქარია სამადაშვილები** და სთხოვენ გულშემატკივართ მობძანდნენ კალოუბნის ეკლესიაში, სადაც დასაფლავების დღეს შაბათს, 7 მარტს, გადახდილი იქნება წირვა და პანაშვიდი. (1—128—1)

**წარმოდგენა № 4. ქართული თეატრი წარმოდგენა № 4.**

**დილით დაკლებულის ფასებით**

კვირას, 8 მარტს, 1909 წ. ქართულ დრამ. საზოგ. დასის მიერ წარმოდგენილი იქნება **ცნობილი პიესა იუშკევიჩისა.**

**მ ე ფ ე**

დრ. 4 მოქმედებად თარ. ალ. იმედაშვილის-მიერ.

მონაწილეობას იღებენ: ქ-ნნი ტასო აბაშიძე, ა. კარგარეთელი, ბ. ნებიერიძისა, ... ქილარჯიშვილი, კ. ჩერქეზიშვილი, ნ. ჯავახიშვილი; ბ-ნნი ჯ. გამყრელიძე, ვ. ... ა, ნ. გვარამე, ა. იმედაშვილი, ი. ივანიძე, ი. იმედაშვილი-ხაშძელი, გ. იმხნელი. ... ქივიძე, შ. საფაროვი, ვ. შალიკაშვილი.

**ადგილების ფასი დაკლებულია. ✦ დასაწყისი სწორედ დილის 12 საათზე.**

მზადდება წარმოსადგენად „აღლუმი“, «ოტელლო», „ორი ჯიბგირი“, „ჩერჩე-...“, „დღენი ჩვენი ცხოვრებისა“.

რეჟისორი **ვ. შალიკაშვილი.** რეჟისორის თანაშემწე **ვ. ურუშაძე.**

ადმინისტრაცია დრამატ. საზოგადოებისა.

გაზეთი **„ჩვენი საქმე“** ასოთ-ამწყობებთან შეუთანხმებლობის გამო, **დაიხურა.**

რედაქცია ამით აუწყებს თავის ხელის-მომწერთ, რომ ყოველ ზომებს იხმარს მათ დასაკმაყოფილებლად.

(6—5) **„ჩვენი საქმის“ რედაქცია.**

**ექიმი ა. ნ. დიასამიძე** კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 12—1 ს. საღამოთი 6—8 ს. ხუთშაბათობით მხოლოდ დილით 8—9 ს. კვირაობით ავადმყოფებს არ იღებს. ყორღანოვის ქუჩა N 14. (უ)

**ექიმი ე. ვაშაკიძე** იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს დილით 7—9 ს., საღამოთი 5—7 ს. ავჭალის ქუჩა, N 41, სასულიერო სასწავლებლის პირდაპირ. (უ)

**ექიმი ჯაფარიძე** ქ. ქუთაისში შინაგანის, ყურის, ყელის და ცხვირის სნეულებანი. ტფილისის ქუჩა, ს. თ. ნიჟარაძისა (6—72)

**ექიმი კ. თ. ტყეშელაშვილი ქუთაისში** იღებს შინაგან და სპეციალურად ვენერიულ სნეულებით ავადმყოფებს (სიფილისი, სუსუნატი, საშარდე მილის, ბუშტის და თირკმელების სატკივარი), ტფილისის ქ., ფირალოვის სახლი (ქარხანა). (120—ფ.—73)

**ექიმი ვ. ღამბაშიძე** გადავიდა გოლოვინის პრ. N 8. ზუბალაშვილის სახლში. იღებს საღამოობით 6—7 ს. კვირა დღის გარდა. (უ)

**ექიმი ვ. ნ. მაგაკიანი,** მიხეილის ქ., ს. ჭავჭანიძისა. შინაგანი და ბავშვთა ავადმყოფობანი. სპეციალური ექიმობა: ნაწლავებისა და კუჭის ავადმყოფობანი. დილით 12—1 ს., საღამოთი 5—7 ს. (25—ხალ.—25)

**კაბინეტი** ელექტრონის და რენტგენის სამკურნალოსი **მ. გედევანიშვილისა.** იღებს ავადმყოფებს დილით 12—1 ს. საღამოთი 6—საათ. ვერა ყორღანოვის ქუჩა, საკუთ. სახლი, N 20, ტელ. 791. (ნ. 110)

**ექიმი** კბილისა **ალ. სოლოღაშვილი** იღებს ავადმყოფებს 9—2 ს. და 5—7 საათ. გოლოვინის პროსპ. N 12. სახლი მდივანისა. (უ)

**ექიმი ვ. ნ. მელიქიშვილი** იღებს ქირურგიულ და ქალების სნეულებათა ავადმყოფებს ყოველ დღე 9—10 საათზე დილით და 4—6 საათზე საღამოთი. ბროსსეს ქუჩა, N 11. (75—24)

**ექიმი** ქუთაისში **ვ. წერეთელი** იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებით ავადმყოფთ. ტფილისის ქუჩა, სადაც კაზაკოვის ქუჩა იწყება, სამხონ აბდუშელიშვილის სახლში, დილით 9—12 ს. და საღამოთი 4—6 ს. (უ)

**ექიმები** კბილისა ქუთაისში **ნ. ა. დემიდოვი** და **მ. ო. სუხარევსკი** იღებენ ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 8—2 ს. საღამოთი 4—7 ს. პლომბის გაკეთება, კბილის ჩასმა და პროტეზები. აბდორონის ქუჩა, სახლი N 14, დემიდოვისა. (0—586—111)

**ექიმი** კბილისა **ნ. რცხილაძე** იღებს ავადმყოფებს დილით 9—2 ს. საღამოთი 5—7. ვერა, ოლღას ქუჩა N 25. (უ)

**ექიმი ვ. ს. მუსხელიშვილი** იღებს თვალებით ავადმყოფებს ყოველდღე დილით 9-დან 11-მდე. კიროჩნი, N 9. (უ)

ახლად გახსნილი
ტფილისის
**კერძო სამკურნალო**
გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.
ვოგზლის ქ., № 8, ს. ენფიანჯიანცისა, ტელეფ. 695.

**ე. გ. ფეოდოროვი**—ყოველ დღე, ოთხშ. და კვირის გარდა, 11—12 ს. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფობანი.
**ვ. დ. ღამბაშიძე**—ყოვ. დღე, კვირის გარდა, 12—1 ს. შინაგ. და ბავშ. ავად.
**ბ. ა. პოპოვი**—ყოვ. დღე, კვირის გარდა, 12—1 ს. ყელისა, ცხვირისა და ყურისა.
**გ. მ. მაკაროვი**—სამშ. და პარასკ. 1—2 ს. შინაგ. და ბავშ. ავადმ.
**ა. ნ. დიასამიძე**—ყოვ. დღე, 11½—12½ ს. სიფილისი, კანისა და ვენერ.
**ნ. მ. მელიქიშვილი**—ყოველ დღე, ქირურგ. და ქალებისა, 1—2 ს.
**ი. გ. გომართელი**—ყოველ დღე, შინაგ. და ბავშვ. ავად. 2—3 ს.
**ვ. ს. მუსხელიშვილი**—ყოვ. დღე, კვირის გარდა, 2—3 ს. თვალისა.

**საღამოთი.**

**ა. გ. მირზოევი**—ყოვ. დღე, კვირ. გარდა, 5—6 ს. შინაგ. და ბავშვ. ავად.
**ნ. გ. ჭიჭინაძე**—ყოვ. დღე, კვირ. გარდა, 6—7 ს. შინაგ. და ბავშვ. ავად. მიკროსკოპიული, ქირურგიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ. (წლ.—6.—5)


## ტფილისი, 6 მარტი

უკანასკნელ ათიოდე დღის განმავლობაში ტფილისში რამდენიმე ერთი მეორეზე საზიზღარი მკვლელობა მოხდა. საზოგადოება ღრმად შეძრწუნებული და აღშფოთებულია; გულისწყრომა უკიდურესობამდეა მისული, ყველა ხმამაღლა აცხადებს უკმაყოფილებას, მაგრამ მაინც ვერავის მიუგნია იმ საშუალებისთვის, რომლითაც ნაყოფიერად შეიძლება გაუმკლავდეს ხალხი თავზე ხელაღებულ ბოროტმოქმედებს. განსაკუთრებით დამაფიქრებელია ის გარემოება, რომ ჩვეულებრივ ადამიანურ საღს გონებას ვერ მოუხერხებია, რაიმე გასაგების მიზეზით ახსნას ზოგიერთი მკვლელობა. შანტაჟისტებს და ავაზაკებს, რომელნიც უკანასკნელ წლების განმავლობაში მხეცურად ჰხოცავდნენ ადამიანებს ფულის დასაცინცლავად ან გასატაცებლად, თითქოს ახალი ჯურის კაცი-ჭამიები მიემატნენ, რომელთაც თვით მკვლელობა ხელობად გადააქციეს.

წინადაც გამოგვითქვამს აზრი, რომ ეხლანდელ პირობებში, როცა კაცის სიცოცხლეს შეუწყნარებელის სიმსუბუქით ეკიდებიან, როცა სხვა და სხვა მიზნის მისაღწევად შესაძლოდ სთვლიან საშუალებად კაცის მოკვლა იხმარონ, მხოლოდ ერთი ნაბიჯია ისეთ გამხეცებამდე, როდესაც სიცოცხლეს სულერთიან დაეკარგება ფასიო. ჩვენდა სამწუხაროდ და სავალალოდ, ამ საზარელს მდგომარეობას თითქოს უკვე მივაღწიეთ. სწორედ გონება ირყევა, როცა დააკვირდებით ამ ბოლო დროს მომხდარ მკვლელობებს. ეს ისეთი აქტებია, რომელნიც ჰმოწმობენ, რომ უცნობ ბოროტმოქმედებებს სულერთიან დაუკარგავთ ადამიანობის ყოველი ნიშანწყალი, უფიქრელად და უანგარიშოდ ჰხოცენ, ვისაც სად მოასწრებენ, და ჯოჯოხეთურის სიამით სტკბებიან თავიანთ საკუთარ გამხეცებისა გამო.

საზოგადოების აღშფოთება ამგვარ ბარბაროსულ აქტებისა გამო სრულიად საფუძვლიანია, მაგრამ არასოდეს არ არის ისე საჭირო სიდინჯით შეიარაღება, როგორც ასეთ კრიტიკულ დროს. თუ საზოგადოების აღშფოთება უცნობ ბოროტმოქმედების წინააღმდეგ პირდაპირ სასიკვდილო ბრძოლის გამოცხადებაში გამოიხატა, ეს იქნება პირველი ნაბიჯი იქითკენ; რომ საზოგადოების სხვა და სხვა ჯგუფები ილეთის გესლიანის ეჭვით და ბოროტის აზრით განისჭვალონ ურთიერთის შესახებ, რომელიც წინანდელზე უფრო მეტს საშინელებას მოუვლენს ქვეყანას. უცნობ ბოროტმოქმედებთან ბრძოლა, რა თქმა უნდა, შეუძლებელია და, თუ ვინმე ამის მიუხედავად დაუყოვნებლივ შურისძიებას თხოულობს, ეს მხოლოდ იმას ამტკიცებს, რომ იგი ან სიბრაზისაგან უგონოდ ქცეულა და გახელებულა და ან იმას, რომ საერთო აღშფოთებით ჰსურს ისარგებლოს უწესოებათა გასავითარებლად. ასეთ კრიტიკულ დროს შურისძიების გრძნობა გონებას უნდა დაემორჩილოს და სხვა და სხვა საეჭვო ხასიათის ხმების გავრცელების ნაცვლად, რაც შეიძლება მტკიცედ უნდა იქნას წინ წამოყენებული ის გარემოება, რომ დიდი უმრავლესობა მცხოვრებლებისა მყუდრო ცხოვრების მონატრულია და სწორედ ეს უმრავლესობა უნდა იქმნას მოწოდებული შეერთებულ მეცადინეობისკენ ბოროტ-მოქმედთა აღმოსაჩენად.

პირდაპირ გონება უნდა ჰქონდეს დაკარგული ადამიანს ან პირდაპირ საზოგადოების ერთის ნაწილის მეორის წინააღმდეგ ამხედრება უნდა ჰქონდეს დასახული მიზნად, რომ ასეთ კრიტიკულ დროს, როცა უიმისოდაც საზოგადოებრივი აღშფოთება უკიდურესობამდეა გამწვავებული, ხალხის ერთ ნაწილს უჩურჩულოს, ეს საზარელი ბოროტმოქმედება შენ წინააღმდეგ მომართულ მოძრაობის ნიშანია, რომელსაც პასუხი უნდა გაეცესო. მარტივად რომ ვთქვათ, ასეთი წაჩურჩულება „პოგრომის“ ქადაგებაა, და მშვიდობიანობის არც ერთს გულწრფელ მეგობარს არ შეჰფერის ამ კილოზე ლაპარაკი. ჩვენდა სამწუხაროდ, ტფილისში ამ კილოზე არა თუ ჩურჩულობენ, სწერენ კიდეც. სრულიად დარწმუნებულნი ვართ, რომ ტფილისის საზოგადოება ადვილად მიუხვდება ამ სამარცხვინო კილოზე მოლაპარაკეთა ღვარძლიან განზრახვებს და არავითარ ყურადღებას არ მიაქცევს მათს დაბალ სულის ქვეწარმავალ ზრახვას.

## სოფლად

III *)

სოფლის მოხელეთა თვითნებობას ბოლო არ უჩანს. უკანასკნელი გზირი, ნაცვალი სოფელში თვითნება, აღვირ-აშვებულ მძარცველს წარმოადგენს. მათზედ საჩივრის აღძვრა ყოვლად შეუძლებელია და ვერც არასა ხდება სოფელი. შევეხები იმავე მამასახლისს გოგიშვილს.

1908 წელს 5 მარტს გორის მაზრის უფროსმა ცირკულიარი გამოსცა, რომელშიაც ნათქვამია, რომ არც ერთი მამასახლისი არ უნდა ერეოდეს საზოგადოების ფულის ანგარიშში. ამ ცირკულიარმაც კი ვერ იმოქმედა. არც ერთი გადასახადი, არც ერთი სამამასახლისო ფული არ მოკრეფილა, რომ იგი არ გარეულიყოს. იქამდის მიდის საქმე, რომ კერძო მესაკუთრე გლეხებს, რომელთაც მამულის გადასახადი აქვთ შესატანი, არ უშვებს გორის ხაზინაში, ფულს ართმევს, მე უნდა წარვადგინოო. რასაკვირველია, ყველა მესაკუთრე გლეხს გზის ხარჯად ართმევს ზოგს აბაზს, ზოგს ორ აბაზს და, ვისაც მეტი აქვს წარსადგენი, იმას სამ აბაზსაც. ხაზინაშიაც ნაკლებს არდგენს, ყველგანა რჩება. ოქონის საზოგადოებაში ორასზე მეტი მესაკუთრე გლეხი იქნება და თითოზედ რომ ამდენ-ამდენი აილოს, ძალიან დიდი შეუგროვდება.

ვისგანაც კი ფულს იღებს, უბრალო ნაგლეჯ ბარათზედ უწერს კარანდაშით მიღების კვიტანციას და არსადა აქვს აღნიშნული, თუმცა კი კანცელარიაში საკვიტანციო წიგნაკებიც არის და მელანიც ბევრია. არც ერთი დადგენილება არ არის იმისა, რომ მამასახლისმა გადაახდევინა ფული მოჩხუბარს გლეხებს, ქათმების ქურდებს, თუ ან ყარაულებს—სულ დამალულია. ყოველ გავლა-გამოვლაზე სოფელ აბისში, როდესაც კი ყარაულები არ დახვდებიან, აჯარიმებს ხან ორი მანეთით და ხან სამით. ეს ფული არსადა სჩანს აღნიშნული.

შარშან ნაბაკევში ტატო მაისურაძე გაძარცვეს, თვითნება გოგიაშვილმა კი ყარაულებს ხუთ-ხუთი მანეთი გადაახდევინა. არც ეს ფული სჩანს აღნიშნული. სოფ. ცეროვნისში ტატო ურიას მოჰპარეს ერთი ტომარა პური, გიორგა ცოტნიაშვილს ხელი დაადეს. მამასახლისმა დაიჭირა და ჯოხით სცემა—გამოტყდიო. რომ ვერ გასტეხა, ბოლოს ხმლით მკლავი მიაჩეხა, ცოტნიაშვილმაც აღვიარა, „მართალია მე მოვიპარე, მხოლოდ ბატონა ურიამ გამაბრიყვო. მამასახლისმა ერთსაც და მეორესაც თითო თუმანი გადაახდევინა. ამავე სოფელში ვასო თავშავაძეს ქათმის ქურდობა დააბრალეს, მამასახლისმა დიდი კეტით თავპირი დაუმტვრია, სისხლი თქრიალით მოსკდა, მამასახლისი შეშინდა არ მოკვდესო, თითონ და სტრაჟნიკებმა თავშავაძეს თავი მოჰბანეს და შეუხვიეს. ამასაც თუმანი გადაახდევინა. ნაცემი თავის ჰკუაზედ აღარ არის. ტატო ურიას 25 მან. გადაახდევინა, გამთაშვილს—3 მან.

ამისთანა ამბები ბევრი ჩაუდენია მამასახლისს გოგიაშვილს. სანიმუშოდ ესეც საკმარისია.

მეორე ცირკულიარი გორის მაზრის უფროსისა (№ 33, 1909 წ.) ამბობს: ყველა სტრაჟნიკმა და მამასახლისმა თავიანთ ცხენების ხარჯი თითონ უნდა გასწიონ და არა საზოგადოებამაო. აბა, ჰკითხეთ ამ ვაჟ ბატონებს, როდისმე დაუხარჯავთ ერთი გროშიც სახლში ან სოფელში ცხენების საკვებზედ? საზოგადოებას თავის ოჯახისთვის აზიდინებს შეშას, ფიჩხს. ოჯახში კანცელარიის ხარჯზედ ხარჯავს ნავთს, ფანჯრების მინებს ამტვრევენ მისი ბავშვები, ან სტრაჟნიკები—საზოგადოებას ახდევინებს. კანცელარიის მცველს თავის ოჯახში, როგორც მოსამსახურეს, ისე ხმარობს. სოფლის ყარაულები არიან (ცეროვნისში) და ოცდა ოთხი საათი კარს ადგანან—დღე ემსახურებიან, ღამე ყარაულობენ.

ამას წინად სოფელმა თილვამ საჩივარი აღსძრა მაზრის უფროსთან მამასახლისის ნაცვალზე, ივ. ტრანკაძეზე, რათა იგი გადაეყენებინა. ივ. ტრანკაძემ (გოგიშვილის ცოლის ნათესავია) მამასახლისს სოფლის საჩივარი აცნობა. გოგიშვილი თილვაში ავიდა. მან სოფლის საჩივარი ივ. ტრანკაძეზე არ შეიწყნარა და სოფელს, წინააღმდეგ საჩივრისა, უარი ათქმევინა და ვინც ამ საჩივრის აღძვრაში მოთავეები იყვნენ, ე. ი., ლუკა და სოსო ოსიტაშვილები, დურგლის ბიჭი და გიო ტრანკაძე ჯერ გაამათრახა ისინი და შემდეგ ექვსი თუმანი იქავე დაათვლევინა, თუმცა, ხალხის მოსატყუებლად, მღვდელს დააწერინა განაჩენი, ვითომ ეს ფული ეკლესიის სასარგებლოდ გადიხადესო, ეკლესიის დავთარში კი არ არის შეტანილი. ამავე მღვდელს პირობა დააწერინა გოგიშვილმა და გლეხებს ხელი მოაწერინა, რომ მათ ამ საქმეზე ხმა არ ამოიღონ და მამასახლისზე არსად საჩივარი არ აღძრან.

ერთად-ერთი ადამიანი ოქონის საზოგადოების სოფლის მოხელეებში ისევ სოფლის მწერალია. საზოგადოებას თუ უკეთებს რასმეს, ისევ ეს მწერალი—ესეც რომ არ ჰყავდეს საზოგადოებას, წყალ-წაღებული შეიქნება. გოგიშვილი, დიდიხანია, სცდილობს, როგორმე თავიდან მოიშოროს ეს მწერალი, რომ უფრო თავისუფლად დაათათუროს ხელები საზოგადოების საქმეებში.

Legatus.

*) იხ. „დროება“ N 49.

**ქართული თეატრი**
შაბათს, 7 მარტს, 1909 წ.
**გრიგოლ რობაქიძე**
წაიკითხავს ქართულად
**მეორე საჯარო ლექციას:**
**„ჰენრიკო იბსენი“**

შინაარსი. ლექციისა: შესავალი.—იბსენი და თანამედროვე სულიერი კულტურა.—მთავარი მოტივი იბსენის პოეზიისა: პრობლემა პიროვნებისა.—აღსაზვა ამ პრობლემისა სქესისა და სიყვარულის სფეროში.—იბსენის აზრი პიროვნების შესახებ: ადამიანი ეძებს თავის შინაგან „მე“-ს და აქედან სდგება მისი ცვალება. —იბსენის აზრი სიყვარულის შესახებ: ადამიანი ნახულობს შინაგან „მე“-ს მხოლოდ სიყვარულში და აქედან სრულდება მისი იდეალური გარდაქმნა.—სულიერი მეშჩანობა და იდეალური სახე ადამიანისა—ტრაგედია კაცობრიობისა. ხსნა ამ ტრაგედიისაგან.—იბსენის სიმბოლიზმი და მისტიციზმი—პოემა „პერ გინტი“, როგორც მთავარი მომენტი იბსენის შემოქმედებაში.

ადგილების ფასები დაკლებულია
**დასაწყისი საღამოს 8 საათზე.** (2—1)

**ყოფილი**
**მაშინისტი ელექტრონის**
**სადგურისა**

ეძებს შესაფერ ადგილს, იცის მოხმარება ყოველ გვარ კონსტრუქციის მოტორისა. იცის სასლესრო საქმე. ელექტრონის ზარების შეკეთება და ახლების მოწყობა. ელექტრონის სინათლის გაყვანა. ყოველგვარი საქმე ელექტრონისა. იკითხეთ „დროების რედაქცია“ ში. (5—2)

რვა მარტს გამოვა სალიტერატურო და სამეცნიერო ალმანახი
**„ფანა“**
ნომერი შაურად ეღირება. (4—4)

## მოწოდება

**(ქართველ საზოგადოებისადმი ეგნატე ნინოშვილის საფლავზე ძეგლის აგების შესახებ).**

15 მაისს 1909 წ. შესრულდება 15 წელიწადი მას შემდეგ, რაც ჩვენმა ღარიბმა ლიტერატურამ დაკარგა ერთი უნიჭიერესი მწერალთაგანი. ჯერ ისევ ახალგაზრდა ბელეტრისტი ეგნატე ნინოშვილი (ინგოროყვა).

მიუხედავად ხან-მოკლე მოღვაწეობისა განსვენებულმა უკვე დაიდგა ჩვენს გულში ხელთ-უქმნელი ძეგლი, რომელსაც დაიმსახურებენ ხოლმე მარტო დიდბუნებოვანი მოამაგენი ქვეყნისა. იგი უკვე ჩაეწერა იმ მცირე რიცხოვან რაზმში, რომელიც წარმოადგენს დიდებას და სიამაყეს ჩვენის ხალხისა. ამის გამო პატივისცემა მისი ხსოვნისა, შეადგენს ჩვენთვის აუცილებელ მოვალეობას.

ამ ბოლო დროს ქართველ საზოგადოებაში დაიბადა სურვილი ხსენებულ მოვალეობის შესრულებისა, აქა იქ კიდეც იკრიბება შემოწირულებანი საყვარელ მწერლის ძეგლისათვის. ჟურნალ «ჯეჯილი»-ს რედაქციის თხოვნით ანასტასია მიხეილის ასულმა წერეთლისამ უკვე გამოიტანა ნებართვა ადმინისტრაციისაგან ფულის მოსაკრეფად ხელის-მოწერის გამართვით და 7 ამა თებერვალს შეადგინა განსაკუთრებული კომიტეტი, რომელმაც უნდა აწარმოვოს ეს საქმე თავისი თავმჯდომარეობით.

კომიტეტის წევრნი არიან: არსენ მამულაიშვილი, ვარლამ ჭიჭინაძე, მიხეილ ჩოდრიშვილი, ნიკო ჭიჭინაძე, პეტრე გელეიშვილი, სამსონ ფირცხალავა და სტეფანე ჭრელაშვილი.

კომიტეტი, აცნობებს რა ზემოხსენებულს საზოგადოებას, სრულიად დარწმუნებულია, რომ ყოველი შეგნებული ქართველი აღმოუჩენს მას სათანადო დახმარებას, როგორც საკუთარის წვლილის შემოტანით აგრეთვე ნაცნობთა გამხნევებით ისეთი წმინდა მოვალეობის შესასრულებლად, როგორიც არის პატივისცემა დამსახურებულ მოღვაწისა ჩვენს მწერლობაში, დაუვიწყარის ეგნატე ნინოშვილისა.

შემოწირულება მიიღება „ჯეჯილი“-ს რედაქციაში (არტილერიის ქუჩა N 5), და აგრეთვე კომიტეტის თითოეულ წევრთან პროვინციებში. ფულის მოკრება მიენდობა საზოგადო დაწესებულებებს და კერძო პირებს, რომელთა სია ცალკე იქნება გამოცხადებული გაზეთების საშუალებით.

## დეპეშები

(პეტერბ. დეპეშათა სააგენტოსაგან)

5 მარტი

### ბალკანეთი.

**ვენა.** დეპუტატთა პალატა. პარლამენტის ფრაქციათა წარმომადგენლების კრებაზე მინისტრ-პრეზიდენტმა ბინერტმა განაცხადა, რომ რაც გუშინა ვთქვი საგარეო პოლიტიკაზე, იმას ველარაფერს მივუმატებ. ეხლა სერბიის ხელ-ახალი პასუხი უნდა მოვცეთ. ამის შემდეგ ყველაფერი გამოირკვევაო. მინისტრმა განაცხა-

და, რომ ყოველ შემთხვევით ვისარგებლებ და საქმის ვითარებას მოგახსენებთო. ყოველსავე ეჭვს გარეშეა, სთქვა მან, რომ საქმის ვითარება სერიოზულია, მაგრამ კიდევ შეიძლება იმედი ვიქონიოთ, რომ საქმე მშვიდობიანად გათავდებაო.

**ცეტინიე.** გუშინ ავსტრიის ესკადრამ სპიცის მახლობლად ალლუმისთვის გემებიდან ჯარი გადაასხა. ჩერნოგორიის მცხოვრებნი აღელვებულნი არიან ესკადრის მოსვლით. მთავრობამ ზომები მიიღო, რომ მცხოვრებლებმა არეულობა არ მოახდინონ.

**პეტერბურგი.** როგორც პეტერბურგის დეპეშათა სააგენტომ გაიგო, რუსეთის გარეშე საქმეთა მინისტრმა ავსტრო-ჰუნგრეთის ელჩს გადასცა საპასუხო ნოტა. საპასუხო ნოტა გამოიწვია ოსმალეთ-ავსტრიის შეთანხმების განაჩენმა ბოსნია-ჰერცოგოვინას შესახებ. რუსეთის პასუხში ნათქვამია, რომ ოსმალეთ-ავსტრიის შეთანხმება ბოსნია-ჰერცოგოვინას შესახებ იმას არ ნიშნავს, რომ აღარ უნდა შესდგეს იმ სახელმწიფოების კონფერენცია, რომელთაც ბერლინის ტრაქტატზე ხელი მოაწერესო. ამიტომ რუსეთის მთავრობა ეხლავე დასთანხმდება ავსტრიას და სხვა სახელმწიფოებს, რომ მოწვეულ იქმნას კონფერენცია, რომელიც ბოსნია-ჰერცოგოვინას საკითხთან ერთად განიხილავს კონფერენციის პროგრამის სხვა მუხლებსაო.

**ვენა.** გარეშე საქმეთა მინისტრის თავმჯდომარეობით გაიმართა თათბირი. თათბირს დაესწრნენ მინისტრ-პრეზიდენტი, მინისტრები და სპეციალურ საკითხების მომხსენებელნი. მოლაპარაკება გაიმართა რუმინიასთან სავაჭრო და პოლიტიკურ დამოკიდებულების გამოსარკვევად. შეიმუშავეს ინსტრუქცია და ავსტრო-ჰუნგრეთის ბუქარესტელ ელჩს გაუგზავნეს. ელჩს ევალება მოლაპარაკება განაგრძოს.

**ბუდაპეშტი.** „პესტერ ლოიდი“ სწერს რომ თუ საერთა-შორისო ომი მოხდა იგი მაინც მალე ჩაიშლება, რადგან საფრანგეთმა დანამდვილებით იცის, რომ გაიმარჯვებს თუ არ გაიმარჯვებს იმისი ჯარი რესპუბლიკანური მართველობა მაინც მოისპობა, ერი, რომელიც ჭკუა-გონებით გათქმულია, თავის თავს ნებას არ მისცემს ისეთ ომში ჩაერიოს რომელიც მხოლოდ სერბიის სასარგებლო იქნება. ინგლისი, მართალია, რუსეთს მეგობრულად ეკიდება, მაგრამ მარტო პლატონიურად. რუსეთი სერბიას დახმარებას მგონი მარტო თავისუფალ მეომრების გაგზავნით თუ გაუწევს. იტალიას ჩვენ მტრად ვერ ჩავთვლით თუმცა იგი, როგორც გერმანია, იმ შეთანხმებას გვერდს უხვევს, რომელიც ჩვენთანა აქვს დადებული.

**ვენა.** „კორესპ. ბიურო“ სალონიკიდან გაგზავნილი დეპეშაა დაბეჭდილი. დეპეშაში ნათქვამია, სერბია ავსტრიის საზღვრებზე გლეხებს აიარაღებს. გლეხებს დინამიტის ყუმბარებს ურიგებენ. სანჯუში ოსმალეთის კიდევ ოთხი ბატალიონი წავიდაო.

**ბელგრადი.** სკუპშჩინამ დაამტკიცა კანონ-პროექტი, რომლითაც მთავრობას შეიარაღებისთვის დამატებით 5,350 000 დინარა ეძლევა.

**კელნი.** ავსტრიის შეიარაღების შესახებ „კელნ. ცაიტუნგ“-ს ბერლინიდან ატყობინებენ: ავსტრიის შეიარაღება სერბიის შეიარაღებით არის გამოწვეული. ავსტრია მხოლოდ მაშინ მიმართავს იარაღს, როდესაც სხვა ზომები ველარ აიძულებენ სერბიას, შესცვალოს ეხლანდელი ტაქტიკა.

**ბერლინი.** „ფრანკფ. ცაიტ.“-ი სწერს: რომიდან მიღებული დეპეშა შეეხება იტალიის მთავრობას, რომელიც ავსტრიას გამოელაპარაკა კონფერენციის მოწვევაზე. ამრიგად იტალიამაც დუმილს თავი დაანება და ხმა ამოიღო.

რუსეთის პასუხს ავსტრიისადმი ბერლინის გაზეთები არა-მეგობრულ აქტად სთვლიან. „ფოსიშე ცაიტ“-ს სწერს: რუსეთი სერბიას მხარს უჭერს. რუსეთმა ამითი მშვიდობიანობა ხელახლად კრიტიკულ მდგომარეობაში ჩააყენესო.

**ვენა.** დეპუტატთა პალატა. სამხედრო ბეგრის შესახებ კანონ-პროექტის კითხვის დროს ჩეხმა კრამარჟმა წარმოსთქვა შემდეგი სიტყვა: ავსტრო-ჰუნგრეთის საქმე იწეწება. მიზეზი გერმანიის პოლიტიკასთან კავშირია. ინგლისისა და რუსეთის აზრით, ავსტრო-ჰუნგრეთი მოწინავე ციხე-სიმაგრეა გერმანიისა, ამიტომ გერმანიის ნაცვლად ავსტრო-ჰუნგრეთსა მტრობენ. რუსეთი გაჯავრებულია. იგი ფიქრობს, ავსტრია რომ გერმანიასთან არ იყოს დაკავშირებული, სამართლიანად მოექცევა სლავიანებსაო. ევროპა ხმას არ ამოიღებდა ანექსიის შესახებ, ავსტრია რომ სამართლიანად ექცეოდეს სხვა და სხვა ერებსაო. ასე როს იყოს, არც სერბიასთან უთანხმოება მოხდებოდა, თვით სერბია მიეკედლებოდა ავსტრო-ჰუნგრეთს. ეხლა საქმე სერიოზულია. ახირება არ გამოდგება. საქმე შეეხება სერბიაში გასეირნებას-კი არა, არამედ მთელ ევროპის კონფლიქტს, რომელშიაც დიდ როლს ითამაშებენ დიდებული ეროვნული და რასსიული საკითხები. ჩვენ, სლავიანებს, გვინდა, რომ ყოველი ღონე იყოს ნახმარი მშვიდობიანობის დასაცველად. მთავრობამ დიდი ტანჯვა მოგვაყენა ჩვენც, ჩეხებს. მან ქედი მოიხარა პანგერმანიზმის წინაშე. იგივე მთავრობა სამხრეთ სლავიანების საქმეში უგუნურ პოლიტიკას აწარმოებს. ასეთსავე პოლიტიკას აწარმოებს ჰუნგრეთი, რომელმაც „ზაგრების პროცესი“ გამოიგონა.

### ს პ ა რ ს ე თ ი

**პეტერბურგი.** რუსის მთავრობის განკარგულებით, ოჯახურ მიზეზებისა გამო რუსეთის სამსახურიდან დათხოვნილ იქმნა კავკასიის სამხედრო ოლქის ჯარის უფროსის განკარგულებაში მყოფი პოლკოვნიკი ლიახოვი.

**სტამბოლი.** „შურაი-უმეტ“-ში წერილია დაბეჭდილი სპარსეთის საქმეების შესახებ. გაზეთის აზრით, სპარსეთის საქმეებში უცხოელთა ჩარევა აუცილებელია, ამიტომ იგი ურჩევს ოსმალეთის მთავრობას, ეცადოს შეეთანხმოს ინგლისსა და რუსეთს.

### საზღვარ-გარედ.

**ლონდონი.** პალატაში შეიტანეს საზღვაო უწყების ხარჯთ-აღრიცხვა. მთავრობამ განაცხადა, მშვიდობიანობის მომხრენი ვართ, მაგრამ სახელმწიფოს უშიშრობისთვის იძულებულნი ვხდებით არავითარ მსხვერპლს არ დავერიდოთ—ძლიერი ფლოტი ჩვენთვის ძალიან საჭიროო სხვა სახელმწიფონი, უფრო-კი გერმანია, აძლიერებენ ფლოტს და ჩვენ ვერ ჩამოურჩებით. 1911 წელს 16 გემი გვექნება ახალის ტიპისა, გერმანის —13. ბალფურმა ძალიან დაიწუნა მთავრობის პროგრამა. სიტყვა წარმოსთქვა პირველმა მინისტრმა. მან სხვათა შორის, სთქვა ჩვენ ვიცავთ ძველ პრინციპს - გვყავდეს ასეთი ფლოტი რომელიც უნდა უდრიდეს ორ სხვა სახელმწიფოს შეერთებულ ფლოტს. მე პირდაპირ ვაცხადებ, რომ ჩვენი ეროვნული ცხოვრება და უშიშროება გვაიძულებს გავაძლიეროთ ფლოტი და გერმანიისთვის აქ საწყენი არაფერი უნდა იყოს. შეიარაღების შემცირებაზე ლაპარაკიც მეტიაო.

**პარიზი.** მინისტრ - პრეზიდენტს კლემონსონ თათბირი ჰქონდა ფოსტა-ტელეგრაფის მინისტრ ბარტუზთან. მთავარ ტელეგრაფზე სრულებით შეჩერდა მუშაობა. ჰფიქრობენ სატელეგრაფო საქმისთვის მოიწვიონ სამხედრო ტელეგრაფისტები.

### რ უ ს ე თ ი

**ვარშავა.** 3 მარტს საპოლიტეხნიკო ინსტიტუტში, ლექციის კითხვის დროს, სტუდენტმა-მექანიკოსებმა ყვირილი ასტეხეს და ლექცია ჩაშალეს. პოლიციამ შეიპყრო 40 კაცი.

**იაროსლავლი.** ხოლერით გარდაიცვალა ერთი კაცი. გუბერნიაში დღე-ღამის განმავლობაში ხოლერით არავინ ავად გამხდარა.

**სევასტოპოლი.** ჩრდილოეთის სანაოსნო საზოგადოებამ ყირიმ-კავკასიის შორის თავისი მოქმედება მოსპო. ის გემები, რომელნიც იქ დადიოდნენ, საზოგადოებამ ალექსანდრიაში გადაიყვანა.

**კიევი.** სმელაში ორმა კაცმა პოლიციას წინააღმდეგობა გაუწია. იმ სახლს, სადაც ბოროტ-გამზრახველები დაიმალნენ და სროლა დაიწყეს, დარაჯები და სალდათები შემოერტყნენ და სროლითვე უპასუხეს. სროლა ღამე დაწყებული მხოლოდ დილის 10 საათზე გათავდა. ორივე ბოროტ-გამზრახველი მოჰკლეს. დარაჯებისა და სალდათებიდან არავინ დაშავებულა.

**პეტერბურგი.** დღე-ღამის განმავლობაში ხოლერით ავად გახდა 5 კაცი.

## ახალი ამბავი

### ტ ფ ი ლ ი ს ი

**წ.-კითხვის საზოგადოების განყოფილებანი.** წერა-კითხვის საზოგადოების ბათუმელ წევრებს გადაუწყვეტიათ ბათუმის ოლქისათვის წერა-კითხვის საზოგადოების განყოფილების დაარსება. თანახმად წესდებისა, განყოფილების უმთავრესი დანიშნულება სოფლებში სკოლებისა და სამკითხველო-ბიბლიოთეკების დაარსება იქნება. განყოფილების თავმჯდომარედ ამოურჩევიათ ბათუმის ქალაქის გამგეობის წევრი გ. დ. ჟურული, წევრებად ნ. ა. საბაშვილი, ეს. ბერძნიშვილი, ს. გ. მდივანი და ნ. პ. ნაკაშიძე. განყოფილებანი არსდება აგრეთვე ახალ სენაკსა და სამტრედიაში. ახალ სენაკის განყოფილების გამგეობის თავმჯდომარედ აურჩევიათ ლუკა ჟვანია, გამგეობის წევრებად-ოლღა ხოფერია და პოლიკარპე ლორთქიფანიძე. სამტრედიაში თავმჯდომარედ აურჩევიათ გ. სიხარულიძე, ხოლო წევრებად-ვარლამ ასათიანი, გიორგი დუნდუა, ელისო კალანდაძე, ირაკლი სიხარულიძე, გრიგოლ ურუშაძე და ილია ჯაში.

**ჩხრეკა და დაპატიმრება.** 4 მარტს ჩხრეკის დროს პოლიციის მეორე ნაწილში დააპატიმრეს 11 კაცი. ამავე დღეს ელისაბედისა, შერემეტევისა და დიდუბის ქუსაზე დაპატიმრეს 7 კაცი.

**ბალი სახალხო უნივერსიტეტის სასარგებლოდ.** ტფ. სახალხო უნივერსიტეტის სასარგებლოდ 30 მარტს საარტისტო საზოგადოების საკონცერტო დარბაზში გაიმართება ბალი. ბალის დიასახლისობა, საზოგადოების გამგეობის თხოვნით, უკისრნიათ უგ. თავ. თამარ გრუზინსკისას, ნინო დადეშქელიანისას, ა. ა. კიმონტისას, კნ. ბებუთოვისას, ამიდა ხანუმ ჯევანშირისას, ს. გ. ზედლერისას, ა. ც. რამენდიკისას და ლ. ა. დუბროვინისას.

**8 კაცის სიკვდილით დასჯა.** 1907 წელს სოფ. გემრულში (შორაპანის მაზრა) შაქრილაძეების სახლზე თავდასხმისათვის სამხედრო სასამართლოში მიუციათ 19 კაცი. ტფ. [illegible] განუხილავს [illegible] სასამართლოს დროებით განყოფილებამ და [illegible] სიკვდილით დასჯა გადაუწყვეტია, 11 კი გაუმართლებია.

**ვატმანის საქმე.** ამას წინად ვერის აღმართში ვაგონი დასჯახებია მედროგეს სარქისოვს, რომელსაც იქვე გაუნთხევინებია სული. ამის გამო პასუხის გებაში მიუციათ ვატმანი გრესევი. მოწმეებმა სხვა და სხვა ნაირი ჩვენება მისცეს სასამართლოს, ზოგი მოწმე და პოლიციის ოქმი ვატმანის სიმთვრალეს აბრალებდა უბედურებას, მაგრამ უმრავლესობა მოწმებისა უარს ჰყოფდა ვიტმანის სიმთვრალეს და უბედურების მიზეზათ თვითონ განსვენებულ სარქისოვსა სთვლიდა. უკანასკნელს ლიანდაგზე ფეხი გაუსხლტა და ამ ნაირად მოჰყვა ვაგონს ქვეშაო. სასამართლომ ვატმანი გაამართლა.

**კიდევ მოკლულთა შესახებ.** როგორც ვწერდით, ავლაბრის ხიდთან დახოცეს ალ. ჟორდანია, ბრიგლაძე და სპანდარაშვილი. დახოცილები ოლქის სასამართლოდან კი არ მიჰყავდათ, როგორც გვქონდა აღნიშნული, არამედ „ოხრანი“ განყოფილებიდან გაეგზავნათ მეტეხის ციხეში.

**საბაღოსნო სკოლის გამგე.** კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საბჭოს 4 მარტს უნდა აერჩიათ ტფ. საბაღოსნო სასწავლებლის მართველი. საბჭომ ვერც ერთი კანდიდატი ღირსად ვერა სცნო აღნიშნულ თანამდებობაზე და საკითხი ისევ გამოურკვეველი დარჩა.

**ქალთა უმაღლესი კურსები ტფილისში.** კავკ. სამოსწავლო ოლქის მზრუნველმა დაამტკიცა წესები ტფილისში განზრახულ ქალთა უმაღლეს კურსებისა. აზრადა აქვთ, კურსები შემოდგომაზე გახსნან.

**სახალხო სახლი.** ზუბალაშვილის სახალხო სახლს აკურთხებენ 15 მარტს.

**მეცხვარეთა ამხანაგობა.** თავ. ჯანდიერისა, ყავრიშვილისა და სხვათა მეთაურობით ტფილისში არსდება ცხვრის პატრონთა ამხანაგობა. წესდება უკვე შეუმუშავებიათ.

## ფელეტონი

### მგზავრის შენიშვნები

(საკუთარ კორესპონდენტისაგან)

**ოსმალეთის პარლამენტი.—ევროპა.—ბალკანეთი.**

VII*)

ოსმალეთის ცხოვრებამ ისე დამაინტერესა, რომ დიდ-ხანს მოვინდომე დარჩენა სტამბოლში. აუარებელი რამ არის ამ საკვირველ სახელმწიფოში სანახავი და დასაკვირვებელი სოციოლოგიურის მხრით. მაგრამ გარემოებანი ისე მოეწყვნენ, რომ იძულებული გავხდი დამეტოვებინა ეს მხარე, რაც შეიძლებოდა მალე. ამიტომაც მკითხველს ამ უკანასკნელ წერილში, მხოლოდ ზერელ შთაბეჭდილებას ვუზიარებ. ვერ შევასრულე დანაპირი, საუბედუროდ, და ვერც პირდაპირი დაკვირვებითა და ვერც ლიტერატურის გადაკითხვით დაწვრილებითა და ღრმად ვერც ერთი საკითხი ვერ შევისწავლე, მე რომ მაინტერესებდა.

ყველაზედ უფრო, მაგალითად, ოსმალეთის პარლამენტი აინტერესებს მკითხველს და მეც, რასაკვირველია, დამაინტერესა ამ არა ჩვეულებრივმა მოვლენამ ოსმალეთის მსგავს სახელმწიფოებში. მაგრამ, ჩემის ფიქრით, მართალი მოგახსენოთ, ადამიანს სასოწარკვეთება მისმნიშვნელობაზედ ან უკეთეს მომავალზედ, თუ ოდნავ მაინც ადევნა თვალყური დეპუტატების მსჯელობასა და ნალაპარაკევს, მათის შემოქმედებითნიჭის გამოჩენას. განსაკუთრებით იმ დიდ საკითხთა სიძნელე არევს ოსმალეთის დეპუტატებს და დააბნევს, რომელნიც ან უკვე წამოყენებულია შინაგან ცხოვრებისაგან და გარეშე პოლიტიკისაგან, ან უსათუოდ ახლო მომავალში იქნება წამოყენებული.

მაგრამ ეს რა? დიდი საკითხები რომელ პარლამენტს გადუწყვეტია ადვილად თვით უგანათლებულეს ქვეყნებშიაც კი, რომ ოსმალეთის პარლამენტმა გადასწყვიტოს! თვით პატარა საკითხებშიაც კი ვერაფერი გაურკვევიათ, პატარა საქმეებიც ვერ გაუკეთებიათ ჯერ-ჯერობით. სიმტკიცეც ვერ გამოუჩენიათ ამ წვრილ და დიდ საკითხთა გარჩევაში და აწონ-დაწონაში და სახელიც კი გაითქვა მთელმა საკანონმდებლო კრებამ „chambre flottente-ისა“ (ყოყმანა პარლამენტისა).

ოსმალეთის პარლამენტი კარგად ჰხედავს დღეს, რომ მილოცვის დეპეშების მიღება, მადლობის გადახდა, თავისუფლებასა და ძმობა-ერთობა - თანასწორობაზედ ყვირილი ძრიელ ადვილი ყოფილა, ხოლო საქმის გაკეთება, ესე იგი რაც შეიძლება მალე უუსაჭიროესს კანონთა შემუშავება და ცხოვრებაში გატარება—სულ სხვა საქმე. ამიტომაც შეშინდნენ დეპუტატები—რას ვშვრებით, ვლაპარაკობთ ამდენი ხანი და აქამდის ვერა გავაკეთეთ რა; თუ ასე დაგვემართა შემდეგაც, დავიღუპებითო. მართლაც არა თუ საქმის გაკეთება, ხერხიანი და ლოღიკური მსჯელობაც ვერ მოუხერხებიათ ჯერ-ჯერობით ოსმალეთის დეპუტატებს.

ყოველ ამ უბედურებასთან არ არსებობს არც პარტიები ამ უცნაურ პარლამენტში. და როგორ შეიძლება პარლამენტი უპარტიებოდ, თუ თვითოეულ პარტიას არა აქვს წინდაწინვე შემუშავებული პროგრამმა, თუ იგი არა სცდილობს მძიმე და სერიოზულ არგუმენტებით დაარწმუნოს უმრავლესობა, რომ ესა თუ ის კანონ-პროექტი უეჭველად საჭიროა, ან უეჭველად მავნებელია ცხოვრების ამა თუ იმ დარგისათვის? როგორ შეიძლება პარლამენტის ნაყოფიერი ფუნქცია, თუ მსჯელობის დროს აზრთა შეჯახება არ იქმნა, სრული ანალიზი ცხოვრების მომავალ მოწესრიგებისა სხვა და სხვა მიმართულების კაცთა მიერ, რომელთაც ერთი და იგივე საკითხი თავიანთ საკუთარ თვალთა ხედვით აქვთ შესწავლილი და მითაც სურთ გადასწყვიტონ იგი პრაქტიკულად. ჭეშმარიტება და სიმართლე მსჯელობაში ჩნდება ხოლმე, უამისოდ კი, თუ ხალხსა სძინავს, თუ არა აქვს განსაზღვრული მიმართულება, არა სწავლობს ყოველ საგანს ოდნავ მაინც, არამედ საყვირლად ან მოვალეობით მიდის პარლამენტში, მაშინ ყოველთვის „ევეთ, ეფენდითი“ (კარგი, ბატონო!) ან „ოლმაზ ეფენდითი“ (არ შეიძლება, ბატონო!) გათავდება ყოველი სესსია.

ოსმალეთის პარლამენტის მსჯელობას რომ გადაავლო თვალი, სწორედ ასეა. ლაპარაკობს ერთი ორიოდე კაცი სერიოზულად, მაგალითად, ზურაბი—სომხეთა დეპუტატი, კოზმიდი და კაროლიდი—ბერძნების, დორევი—ბოლგარელი, ჰუსსეინჯაჰიდ-შეი-თურქი, იუსუფ-ქემალბეი, თალაათ-ბეი და სხვანი მრავალნი დანარჩენები კი ან „ევეთს“ იძახიან, ან „ოლმაზსა“, როგორც ეს იყო პირველ პარლამენტში, ამ 30 წლის წინად. დინჯი და მოხერხებული ახმედ-რიზა კი მშვიდობიანობის დაცვას უნდება.

უპირველესად, როდესაც შეიკრიბა პარლამენტი, დღესა თავის დაარსებისა მან ჩაიდინა ერთი მიუტევებელი ცოდვა: ყურადღება არც კი მიაქცია იმ ფრიად დიდ გარემოებას, რომ სულთანმა ფიცი არ მისცა პარლამენტს კონსტიტუციის, ერთგულებისა. ამბობდნენ, რა უშავს, წინად ხომ მისცაო, მაგრამ რა უყოთ რომ ოცდა ათი წლის წინად ხელმწიფემ ფიცი მისცა ისეთ პარლამენტს, რომელსაც რამდენიმე თვის შემდეგ უღალატა და რომელიც მალე მოსპო ისე, რომ მის მიერ წინააღმდეგობაც არ უნახავს. აუცილებლად საჭირო იყო განმეორება ფიცისა ჯერ ერთი იმიტომ, რომ კონსტიტუციას ამით მეორედ ეძლეოდა მტკიცე საფუძველი თვით ხელმწიფის პირით, მეორე იმიტომ, რომ ოსმალეთის მზგავსს სახელმწიფოში ადვილად შესაძლებელია ამ ფიცის მიუცემლობით ისარგებლოს ან თვით იმავე ხელმწიფემ, ან მისმა რომელმამე მემკვიდრემ, თუ გარემოებამ ხელი შეუწყო. მესამეც იმიტომ იქნებოდა საგულისხმიერო ძალ-დატანება სეფე-სიტყვისა, რომ ამით ახალგაზრდა ოსმალები კიდევ უფრო დაამტკიცებდნენ და განამტკიცებდნენ თავიანთ ძალასა და ბატონობას განახლებულ ოსმალეთში. ეს კი ვერ მოახერხეს ახალ-გაზრდა ოსმალებმა, შემდეგ პარლამენტის გახსნისა კი ისინი სულთანმა ძლიერ დაიმეგობრა და ამბობდნენ—თვით ახმედ-რიზა მოხიბლაო. რასაკვირველია, ამის შემდეგ ისინი სულთანთან ახალ ფიცზედ კრინტსაც არ დასძრავდნენ.

ვერაფერი ვერა ჰქნა რა პარლამენტმა შიმშილის წინააღმდეგაც, მცირე აზიაში რომ მძვინვარებს. მაშინ როდესაც პატარა რუმინიას შეუძლიან წელიწადში მოიყვანოს თითქმის 8 მილიონ ნახევარი ქვარტერი პური, ბოლგარიას—7 მილიონზე მეტი, მთელ ოტტომანის იმპერიას იმდენივე, რვაოდე მილიონი მოჰყავს, ისეა დაცემული მიწადმოქმედება ამ ქვეყანაში. მართალია არც მიწათ-მოქმედების განვითარება და არც ქვეყნის სიმდიდრე არ განიზომება პურის მოსავლით, მაგრამ ის ხომ კარგად ვიცით, რომ ოსმალეთში არც მრეწველობას უჭირავს მიწის მუშაობის ადგილი, არც სხვა რამ სიმდიდრეა. იმ ფულზე კი, რომელიც ავსტრიიდან და ბოლგარიიდან მოელიან, იმდენი ლაპარაკია იქ, რამდენადაც ზღაპარში გაგონილ ბედისაგან ჩამოგდებულ ფარაზედ, რომელსაც ღარიბმა არ იცის რა უყოს და როგორ მოიხმაროს. პარლამენტმაც ვერა ჰქნარა შიმშილის წინააღმდეგ, პური ვერ მიაწოდა მშიერთ და, იცოდა რა თავისი უძლური მდგომარეობა, სრულიად მიაფუჩეჩა ეს საკითხი ზერელი მსჯელობის შემდეგ. მთავრობაც დახმარებას ხეირიანად ვერ უწევს დამშეულთ სრულის უსახსრობისა გამო. მან მხოლოდ 300,000 ოსმალური ლირა მიაწოდა სესხად ღარიბ მიწის მუშებს.

არ მოსწონდა ახალ პარლამენტს ძირითადი კანონები კონსტიტუციისა. მოინდომეს მათი შეცვლა და გაუმჯობესება. აირჩიეს კომისსია. კომისიამ დიდ-ხანს იმუშავა და შემდეგ დასკვნას დაადგა: შეიცვალოს კონსტიტუციის მე-53 მუხლი, რომელიც ამბობდა, რომ ახალ კანონის შემუშავების ან ძველის შეცვლის წინადადება მინისტრთა საბჭოსაგან უნდა გამოდიოდესო, ამნაირად:—ახალ კანონის დადგენის ან ძველის შეცვლის პროექტი შეუძლიანთ შეიტანონ როგორც მინისტრთა საბჭოს, ისე სენატსა და თვით პარლამენტსაო. მე-54 მუხლს, სადაც ნათქვამია, რომ ყოველ კანონს განხორციელებამდე სჭირდება პარლამენტის მიერ მიღება, სენატის მიერ განხილვა და დამტკიცება და სულთანის ირადეო, მიუმატეს: თუ ხელმწიფემ ორ თვეში არ დაამტკიცა და არ გამოუგზავნა უკანვე პარლამენტს დამტკიცებული კანონი ხელ-ახლად განსახილველად, მაშინ ეს კანონი მიღებული იქნება და ძალაში შევაო. შესცვალეს აგრეთვე მუხლი სენატორების შესახებ, სადაც მათ დანიშვნაზედ იყო ლაპარაკი, იქ მათი არჩევა ჩასწერეს და სხვა.

ადვილად შესაძლებელია მიიღოს პალატამ ეს შესწორებანი კომისიისა, მაგრამ რატომ ვერ გამოიჩინა კომისიამ ისეთი შორს-მჭვრეტელობა, რომ, მაგალითად, სინიდისის თავისუფლების შესახებ მტკიცე და ნათელი მუხლები შეემუშავებინა? ისეთ სახელმწიფოში, სადაც სჯული საშინელ სიძლიერის სოციალურ ძალას წარმოადგენს, ყოვლად აუცილებელია ასეთი მუხლი, რადგან, აკი მოგახსენებდით წინა წერილებში, ადვილად შესაძლებელია, რომ ამ რელიგიოზურმა საკითხმა ხელ-ახლავ გამოიწვიოს ხოცვა-ჟლეტა და დაშლა ოსმალეთის იმპერიისა, თუ ახალმა ოსმალეთმა ძლიერ ღრმადა და სერიოზულად არ მოჰკიდა ხელი იმის გადაწყვეტას. მაგრამ ან კი რა ბრალია ან კომისიისა და ან პალატისა, როცა თვით ხალხის გრძნობა-გონება ისეა მოწყობილი, რომ ყოველი „ევროპიული“ გადაწყვეტა ამ საკითხისა ოსმალეთში რევოლიუციის ცეცხლს გააჩენს. უამისოდ კი, მომავალი გვიჩვენებს, არავითარი სერიოზული რეფორმა არ განხორციელდება ოსმალეთში. კომისიას შეეძლო აგრეთვე წინდაწინვე გაებათილებინა საძაგელი პროექტი პრესის წინააღმდეგ, რომელიც მთავრობას შეაქვს პარლამენტში: გაზეთის გამომცემელმა ბედ ხუთი ათასი მანეთი უნდა შეიტანოს და თანაც ისეთი არაფერი დასწეროს გაზეთში, რომ მითი მთავრობის მოქმედებას ხელი შეუშალოსო. ეს ისეთი შეზღუდვაა პრესის თავისუფლებისა, როგორიც

*) ამ წერილის დაბეჭდვა ძლიერ დაგვიანდა სხვა და სხვა მიზეზისა გამო.

✦ **პავლე აკობია.** 4 მარტს პოლიციამ შეიპყრო ტფილისში პავლე აკობია, რომელიც ალექსანდრე შუბის სახელით სცხოვრობდა თურმე. პავლეს ქუთაისის ადმინისტრაცია დაეძებდა.

✦ **ფუნიკულიორი.** ფუნიკულიორი მუშაობას განაახლებს 15 მარტს.

✦ **ბაქოს გუბერნატორის ანგარიში.** როგორც ჩვენი გაზეთის მკითხველს მოეხსენება, ყველა გუბერნატორი უმაღლეს მთავრობას თავიანთ გუბერნიის მდგომარეობის ანგარიშს უდგენს. თითქმის ყველა გუბერნატორები ლაპარაკობენ რევოლუციის ჩაქრობაზე და იმ ზომებზე, რომელიც მშვიდობიანობის დასამყარებლად იქმნა მიღებული. ბაქოს გუბერნატორი კი უმთავრეს ყურადღებას ბაქოს გუბერნიის ეკონომიურ მხარეს აქცევს. გუბერნატორის აზრით, თუმცა ბაქოს გუბერნიაში 1905—6 წელს პოლიტიკური მოძრაობა არა ყოფილა, მაგრამ რუსეთის იმპერიის მოძრაობას თავისი გავლენა ჰქონდა ბაქოს გუბერნიაზედაც და კერძო ნიადაგზე ავაზაკობამ იმატა. ამის მთავარი მიზეზი, მისის აზრით, გაუნათლებლობაა. ამ წელს ბოროტ-მოქმედებათა შესამცირებლად გუბერნატორი სკოლების რიცხვის გამრავლებას სცნობს. ანგარიშის ბოლოს გუბერნატორი სწერს, რომ 1907 წელს რაიმე სერიოზულ, მთავრობის საწინააღმდეგო, არ მომხდარა. არც ტერორისტული აქტები მომხდარა.

✦ **შეპყრობა.** პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოს ცნობით, ბაქოში შეუპყრიათ ორი მძარცველი, რომელთაც ქარხნის პატრონის რიგვისთვის მუქარის წერილი გაუგზავნიათ და 5000 მანეთი მოუთხოვნიათ.

✦ **მოკვლა.** განჯაში პოლიცმეისტერის კანცელარიაში, მოხელეების და დარაჯების იქ ყოფნის დროს, ვიღაც უცნობს მოუკლავს ბოი-ახმეტლინის მამასახლისი ბაირამი. უცნობი გაქცეულა.

✦ **კათალიკოზის დამტკიცება.** როგორც გაზეთი „კასპი" გადმოგვცემს, ამ დღეებში დაამტკიცებენ კათალიკოზს იზმირლიანს.

✦ **შემოწირულება.** დუშეთიდან გვწერენ: „2 ამა თებერვალს დუშეთში სცენის მოყვარეთა მიერ „ქ.-შ. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებს" სასარგებლოდ გამართულ იქმნა წარმოდგენა. სულ შემოვიდა 44 მ. 10 კ. ხარჯი იყო 7 მ. 44 კ. 5 მ. ფრიად გაჭირვებულ მოხუც პროშკინის ქვრივს გადავეცით. დანარჩენს 31 მ. 66 კ., ფოსტის ხარჯის გარდა (26 კ.), გიგზავნით თქვენ დანიშნულებისამებრ გადასაცემად (ქ.-შ. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებისათვის). სცენის მოყვარე გიგო მაისურაძე".

✦ **ქართული სამეურნეო ჟურნალი.** სამეურნეო ჟურნალ „მოსავლის" რედაქციამ შემდეგი ბარათები დაუგზავნა მეურნეებს:

„ჩვენი პატარა და მრავალ-ფერ ბუნებიანი საქართველო უხსოვარ დროიდან ცნობილია როგორც მეურნეობის ქვეყანა. ეს მეურნეობა მთავარი ძარღვია ჩვენი ხალხის ცხოვრებისა დღესაც. ქართველი ადამიანის კეთილ-ყოფიერება დღესაც მეურნეობის სვლა-წარმატებასთან არის დაკავშირებული, რადგან ყოველი ჩვენთაგანი თუ პირადად არა, ჩვენი მახლობელი ნათესავნი მაინც წლითი-წლობით გამოდიან მეურნეობით.

უხვი, მდიდარი, მადლიერი ბუნება ჩვენის ქვეყნისა ხელს შეწყობს მეურნეობის ყოველგვარი დარგისას; თვით ცხელი ქვეყნის მცენარეებიც კი—ჩაი, ლიმონი, ფორთოხალი—ადვილად ეთვისებიან აქაურ ჰავას, მაგრამ მიუხედავად ამ საარაკო ბუნებრივი სიმდიდრე-ნაყოფიერებისა, მეურნეობა ჩვენში დღესაც განვითარების უდაბლეს საფეხურზე დგას და ფრიად სავალალო სანახავს წარმოადგენს. მეცნიერებამ კი მეურნეობის განვითარებაში დღეის ნაბიჯი გადადგა და მრავალი ახალი, ძველთათვის სრულიად უცოდინარი, გზა გამონახა და აგრეთვე მრავალი ძველი საშუალება გააუმჯობესა და განავითარა. დაწინაურებულმა ქვეყნებმა კიდევაც ისარგებლეს ამ გამოკვლევებით და მეურნეობის რიგიანი წარმოებით თავისი ეკონომიური ცხოვრება ბევრად გააუმჯობესეს, გაამდიდრეს. ჩვენი სამშობლო ამ მხრივაც ძლიერ ჩამორჩენილია განათლებულ ქვეყნებს და თუ უმთავრესი არა, ერთი მთავარი მიზეზთაგანი ჩვენი ეკონომიური უძლურებისა ამ გარემოებაში იმალება. რატომ? განა არა გვყავს ისეთი ცოდნა-მომზადებით აღჭურვილი პირნი, რომელთაც შეუძლიათ სამეურნეო გზა გაუნათონ ჩვენს ჩამორჩენილ სოფლის მეურნეს? დიახაც გვყავს, მაგრამ მათი დაქსაქსულობა, მათი ცალ-ცალკე და კერძო მოქმედება ვერ სწვდება ჩვენი ქვეყნის სივრცეს, ვერ უწევს მის გულს და ამიტომაც თუ სრულიად უნაყოფო არა, მცირე უმნიშვნელო ნაყოფიერებით კმაყოფილდება. საჭიროა, ვფიქრობთ, ამ პირთ შეკავშირება, მათ ცოდნა-გამოცდილების ერთ ლამპრად შეერთება, რომ სინათლე ამ ლამპრისა ძლიერი სხივით შეიჭრას ჩვენი ქვეყნის სიბნელეში და შეანათოს მეურნე გლეხის ოჯახის თვით გულში. ამ მიზნის მისაღწევად ქართველ მეურნეთა ერთმა ჯგუფმა განიზრახა ყოველ-კვირეული სამეურნეო ჟურნალის გამოცემა, რომლის დანიშნულება იქნება მიაწოდოს ჩვენ ხალხს ადვილ-გასაგები, მარტივი ენით დაწერილი საჭირო ცნობები მეურნეობის ყოველი დარგიდან, შემოიკრიბოს თავის გარშემო ცოდნა-გამოცდილებით აღჭურვილი მეურნენი და საერთო ძალით გაუძღვეს სოფლის მცხოვრებთა ეკონომიურ გაუმჯობესობის საქმეს. ამასთანავე გიგზავნით ჟურნალის პროგრამას და ვიმედოვნებთ, რომ თქვენს გულ-წრფელ თანაგრძნობას და თანამშრომლობას არ მოგვაკლებთ ამ საერთო საქმეში. თქვენდამი ნატვრისცემით მოველით ჟურნალის თანამშრომელთა შორის ჩარიცხვის შესახებ თქვენის თანხმობის გამოცხადებას".

✦ გვთხოვენ დავბეჭდოთ: „ნება მიბოძეთ, თქვენი გაზეთის საშუალებით უღრმესი მადლობა გამოუცხადო იმათ, რომელიც ავლაბრის ქართულ ბიბლიოთეკა-სამკითხველოს წიგნები და ფული შემოსწირეს. სია შემომწირველთა: ა. ჯაბადარმა 15 წიგნი, დიომიდე კილაძე 10 წ., მარიამ დემურია 30 წ., თ. ხუციშვილმა 10 წ., კ. ჯაჭნაძე 20 წ., ნინა ახალ-კაციშვილი 10 წ., ი. მჭედლიშვილი 12 წ., დ. ქარცივაძე 20 წ., კემულიამ 15 წ., იოსებ. არუტინოვი 200 წ., სპირიდონ ზედაძე 12 წ., კალანდაძე 20 წ., პლატონ გაჩეჩილაძე 12 წ., ბარბარე ბაგინოვისა 50 წ., ბ. ადუაშვილი 2 წ., ი. აგლაძე 30 წ., გ. ვასილევი 10 წ., თ. ნორიძე 50 წ. კნ. ნატალია ნ. ბარათაშვილისა 5 მანეთი. დიმიტრი ჯიჯავაძე 5 მ., აბრამ თუშიშვილი 10 მ., ივანე ნიკოლოზის ძე კვეზერელი-კოპაძე 11 მ. 70 კ., ბესარიონ ჭავჭავაძე 5 მ., ნიკოლოზ ჭავჭავაძე 2 მ., ლუარსაბ ბიცვაძე 3 მ., გიორგი მეგრელიშვილი 5 მ., ივ. ივათვი 10 მ., ვასილ ბერძნიშვილი 1 მ., ივ. მაისურაძე 2 მ., ვასილ პაატაშვილი 1 მ., პეტრე მამრაძე 5 მ., მ. დემურიამ 5 მ., და დიომიდემ კილაძემ „სამკითხველოს გამგე კაპანაძე".

✦ ზუბალაშვილის სახალხო სახლში 8 მარტს დილის 11 საათზედ კ. გ. სიკვთვი რუსულად წაიკითხავს ლექციას ზანგების განთავისუფლებაზე ამერიკაში.

✦ 3 მარტს კუკიის სასაფლაოს მახლობლად ჩხრეკის დროს შეპყრობილი სტუდენტი ბესარიონი ტყემალაძე მეორე დღეს გაანთავისუფლეს.

✦ 4 მარტს რუსის ქუჩაზე შაიშმელოვის სარდაფში უქეიფნია რამდენისამე კაცს ერთს შეარალებულს მოქეიფეს სახელად ლადოს, დანა ამოულია და დაუჭრია ქიზიყელი იოსებ ფეიქრიშვილი და ტფ. მოქალაქე ალექსანდრე ბეჟანოვი. დამჭრელი მიიმალა.

✦ პოლიციის მე-ტ ნაწილში, პოლიციამ დააპატიმრა გაბრიელ დარდაგანოვი, რომელსაც დაბრალდა ვორონცოვის ქუჩაზე ჰასან-ჰარი-ოღლზე თავდაცემას და გატაცების განზრახვა.

# უკანასკნელი ამბები

## ბალკანეთში

**რა გუნებაზეა ჩერნოგორია.**

იტალიურ გაზეთების კორესპონდენტები ირწმუნებიან, რომ მთელი ჩერნოგორია, მთავრიდან უკანასკნელ კაცამდე, მოუთმენლად ელის ომსაო. მთელი ჩერნოგორიის ერი დამზადებულია საბრძოლველად. ბოლოს დროს ხომ უკიდურესობამდე გამწვავდა ჩერნოგორიის ხალხი. ჩერნოგორიის ჯარი უკვე დააყენეს უმთავრეს სტრატეგიულ ადგილებზე. პრესტანის მთაზე 10 ათასი კაცი დგას არტილერიით. ზღვის ნაპირებზე ნავთსადგურ სპიცას ახლოც ძლიერი რაზმები დგას. მთავარმა ნიკოლოზმა ამ დღეებში პრესტანის მთაზე მდგომი ჯარი დაათვალიერა და სიტყვა წარმოსთქვა: ჩვენ წინ გვიდევს წმიდა საქმე—უნდა დავიცვათ სამშობლო, რომელსაც ემუქრის ევროპის უძლიერესი სახელმწიფოო. მთავარმა ჩერნოგორიელ ქალებსაც მიმართა მოწოდებით. პრესტანის მთაზე ყოველ დღე მოდიან ჩერნოგორიელი მინისტრები, ანუ მათი წარმომადგენლები, სიტყვებს წარმოსთქვამენ და სხვათა შორის აცხადებენ, რომ ავსტრიასთან „წმიდა ომი" მოგვიხდებაო.

**ბოლგარია და სერბია**

გაზეთებში ცნობა იყო დაბეჭდილი, ვითომ ბოლგარიაც დაეხმარება სერბიას, რომ იგიც ემზადება საომრადაო. სულ სხვას იუწყება რუსულ გაზ. „ნაშე გაზეტა"-ს კორესპონდენტი, რომელიც ამ ჟამად ბოლგარიაში მოგზაურობს. იგი სწერს:

„გასაგონადაც შეგზავრდებათ „სლავიანთა სოლიდარობაზე" ლაპარაკი, როცა ჰნახავთ, თუ რა გულგრილად თითქმის ბოროტის ნიშნის მოგებით უცქერიან ბოლგარები თავიანთ ძმა სერბის განსაცდელსა და უბედურებას. მთელ სერბიას ცეცხლი ეკიდება. სასოწარკვეთილებაში ჩავარდნილმა სერბიამ ლამის თავზე ხელი აიღოს და ლამის თავის თავის დამღუპველი ომი დაუწყოს ავსტრიას. ყველანი ელიან ომსა, რომელსაც ევროპა აუცილებლად სთვლიან. აქ კი ბოლგარიაში სუფევს სრული საწყნარე, აქ არავის არ აფიქრებს ის მრისხანე ხმაურობა, რომელიც ისმის ბელგრადში, არავის არ აწუხებს ომზე ლაპარაკი და საომარი მზადება; ომი აქ არავის არ მოსდის აინუნში, ბოლგარებს ეცინებათ ხოლმე, როცა კითხულობენ ცნობებს სერბიის უკიდურეს აღელვებასა და საომარ მზადებაზე, ბოლგარიის მთავრობამ თუ ერი ამ აღელვებას სთვლიან, ხელოვნურად შექმნილ აგიტაციას ნაყოფად, მარჯვე ხერხად, რომელიც სერბებმა მოიგონეს ევროპის შესაშინებლად იმ აზრით, რომ ცოტა მეტი გამოსცინცლონ ავსტრიას.

უფრო მეტიც! აქ ძნელად შეგხვდებათ ისეთი კაცი, რომელიც პლატონიურად მაინც თანაუგრძნობდეს მძიმე თითქმის აუტანელ მდგომარეობას, რომელშიაც სერბია ჩავარდა ბოსნია-ჰერცოგოვინას შეერთების შემდეგ. თავმომწონე, ამაყ და იღბლიან ბოლგარებს სრულობით არ ებრალებათ უიღბლო სერბიები, პირიქით, სერბიის უბედურება თითქმის ზიზღსა ჰიწვევს მათ ძმა მეზობლებისადმი.

ესეთი სიძულვილი სხვათა შორის აიხსნება იმ ლანძღვა-თრევით, რომელიც დაუწყეს ევროპისა და რუსეთის საზოგადოებამ ბოლგარიას, როცა მან უდროვოდ გამოაცხადა თავისი დამოუკიდებლობა და ამით უნებურად მიზეზი მისცაო ავსტრიას ბოსნია-ჰერცოგოვინას შეერთებისა. ასეთი ბრალდება ეწყინა ბოლგარებს და როგორც ხშირად მოხდება ხოლმე—ისინი ეხლა ევროპისა და რუსეთის ჯავრს ყრილობენ უბედურ სერბიაზე, რომლის გულისთვის ბოლგარებს ასე საშინლადა ჰლანძღავდნენ.

მეორე, უფრო დიდი მიზეზი სიძულვილისა არის სერბიისა და ბოლგარიის მეტოქეობა ბალკანეთში უპირატესობისთვის და კერძოდ სერბიის პოლიტიკა მაკედონიის საქმეში ბოლგარები ამბობენ, რომ სერბია მტრობდა და ხელს უშლიდა ბოლგარიას მაკედონიაში და ეხლა ისტორიამ ღირსეულად და საჯაო... ერთის სიტყვით, ბოლგარები მეტად გულქვადა და სასტიკად ეკიდებიან სერბებს".

აქედან ცხადად ჩანს, რომ სერბიას არავითარი იმედი არ უნდა ჰქონდეს ბოლგარიის დახმარებისა.

**საცაა ომი დაიწყება.**

„ბაქო"-ს ატყობინებენ პეტერბურგიდან: აქ დაჟინებით ირწმუნებიან, რომ ავსტრიის მთავრობამ გადასწყვიტა ომი გამოუცხადოს სერბიასო. ამბობენ, რომ ზოგან უკვე მოხდა შეტაკება ავსტრიელ და სერბიელ რაზმებ შორისო.

სერბიის საზღვრიდან ცნობა მიიღეს ვენაში ავსტრიის ჯარს ყოველ დღე შეტაკება მოსდის სერბებთანაო. 1 მარტს ერთს შეტაკებაში მოჰკლეს ერთი ავსტრიელი აფიცერი და 6 ჯარის კაცი.

„კასპი"-ს ატყობინებენ პეტერბურგიდან: როგორც საქმეში ჩახედული დეპუტატები იუწყებიან, 1 მარტს პეტერბურგში ცნობა მიიღეს, რომ ავსტრიის მთავრობა [illegible] წინა ღამეს სხდომა [illegible] და გადაჭრით [illegible] დოთ სერბიას. [illegible] დების დაწყება ყოველ წამსაა მოსალოდნელი. სათათბიროს დეპუტატები ჰფიქრობენ, რომ რუსეთსაც ჩაითრევენ ომშიო.

ავსტრიის იმპერატორმა თავისი მემკვიდრე დანიშნა ჯარის მთავარ-სარდლად. მემკვიდრე ბეჯითად თხოულობს დაუყოვნებლივ ომის გამოცხადებას, რადგან მისი აზრით ყოველი დაყოვნება სასარგებლოა მარტო სერბიისთვის. ბარონ ერენტალიც მემკვიდრის მხარესაა. ამ ჟამად მარტო იმპერატორიღა ეწინააღმდეგება ომს და წინანდებურად საჭიროდ სთვლის მშვიდობიანობის დაცვას.

სერბიის მთავრობაც ბეჯითად ემზადება საომრად. საჩქაროდ ამთავრებს ჯარის შეიარაღებას და თავისუფალ-მეომართა დარაზმვას. სერბიის მინისტრების უმეტესობა ომის მომხრეა.

ჩერნოგორიაში სამღვდელოება ეკლესიებში ქადაგებს ომსა. იგი არწმუნებს ხალხსა, რომ მართლმადიდებელი სარწმუნოება დიდ განსაცდელში ჩავარდება, თუ ავსტრიამ სამუდამოდ დაიჭირა ბოსნია-ჰერცოგოვინაო.

ანტივარიში (ჩერნოგორიაში) მოვიდა ინგლისის გემი, რომელმაც ბლომად მოიტანა იარაღი,

ჰუნგრეთის პრესა გაბედულად ირწმუნება, რომ მოკლე ხანში აუცილებლად მოხდება ომიო.

სერბიული „პოლიტიკა"-ც ამნაირსავე აზრს გამოსთქვამს: ომი აუცილებლად მოხდება, ვერავინ ვეღარ გაიმაგრებს სერბიასო.

„ლოკალ ანცაიგერ"-ს ატყობინებენ ვენიდან: აქ დარწმუნებულნი არიან რომ ეხლა-კი ძნელად თუ აიცდენენ თავიდან ომსაო. აქ ყველას ცხადად ესმის, რომ ავსტრიას დავა რუსეთთან აქვს და არა სერბიასთან და ეხლანდელ წამისთანა მარჯვე წამს ავსტრია თავის დღეში ვეღარ მოესწრობაო, ამიტომ ავსტრია ეხლა გაბედულად უნდა მოიქცეს და ერთხელ და სამუდამოდ მოიპოვოს უპირატესობა ბალკანეთშიო. ავსტრიის მთავრობამ უკვე დაამთავრა ყოველი სამხედრო მზადება.

## სპარსეთში

**რევოლიუციონერების დიდი გამარჯვება თავრიზში**

მარტის დამდეგს თავრიზში დიდი ბრძოლა მოხდა რევოლიუციონერებსა და შაჰის ჯარს შორის.

შაჰის შეერთებულმა ჯარმა მწვაბრი იერიში მიიტანა რევოლიუციონერთა ჯარზე. ეინუდ-დოვლეს რაზმი ცენტრში (შუაში) იდგა, სამად-ხანი მარცხენა ფრთაზე და მაქოუდი სარდალი მარჯვენა მხარეზე.

პირველ წამს რევოლიუციონერთა ჯარი ცოტა არ იყოს შეკრთა და უკან დახევას აპირებდა, მაგრამ თავის მამაც მეთაურების მაგალითით აღფრთოვანებულმა, მან თითონაც მიიტანა იერიში მტერზე და ხუთის საათის მედგარ ბრძოლის შემდეგ ძალზე დაამარცხა შაჰის ჯარი, რომელიც იძულებული იყო იქ-წიოდ გაქცეულიყო. („ზ.")

**რეშტელ რევოლიუციონერების გალაშქრება.**

ამას წინად, როგორც ვიცით, რეშტელ რევოლიუციონერების რაზმებმა თეირანისკენ გაილაშქრეს. მარტის დამდეგს ეს რაზმები კაზვინიდან 20 ვერსტის მანძილზე იდგნენ თურმე.

**ვინ იყო საიდუმლო მგზავრი.**

„რ. უტრო"-ს ბაქოელ კორესპონდენტს შეუტყვია სარწმუნო წყაროდან, რომ ის საიდუმლო მგზავრი, რომელმაც ამას წინად სადგურ აჯი-კაბულიდან საკანკებო მატარებლით საზღვარგარეთისაკენ გაემგზავრა, იყო შაჰის უმცროსი ძმა შაო-სალტანე.

შაო-სალტანე ბოლო დროს საზღვარ-გარედ სცხოვრობდა და ამას წინად ისევ სპარსეთში წავიდა შაჰის ბეჯით თხოვნით, ეს რომ გაიგეს რეშტელმა კონსტიტუციონალისტებმა, გზაზა რეშტის ახლო დაიჭირეს შაჰის ძმა, საპატიმროში ჩასვეს და მხოლოდ იმ პირობით გაანთავისუფლეს, რომ იგი ისევ საზღვარ-გარედ დაბრუნებულიყო.

შაჰს უნდოდა. შაო-სალტანე დანიშნა იმ ჯარის სარდლად; რომელიც ისპაჰანის წინააღმდეგ გაგზავნა.

**მიწის-ძვრა სპარსეთში.**

რუსეთის საელჩოში თეირანში დაწვრილებითი ცნობა მიიღო იმ მიწის ძვრაზე, რომელიც, როგორც დეპეშები-

ძველი რეჟიმის დროსაც არა ყოფილა. თუ ეს პროექტი გავიდა, მაშინ მხოლოდ მდიდრებს ექნებათ უფლება გაზეთის გამოცემისა და ისეთ ბავნებელ ხალხს, როგორნიც იყვნენ იზეტ-ფაშა, ტაჰსინ-ფაშა, რაგიბ-ფაშა და სხვანი, ხმასაც ვერ გასცემ, აქაო და „მთავრობის" ხალხია და „მოქმედებას" შეუშლითო! არც ეს მიიღო მხედველობაში კომისიამ. ოსმალეთის მსგავს სახელმწიფოში კი პრესის სრული თავისუფლება კონსტიტუციის მარლთაც ერთი უმთავრესი საფრთხეთაგანი უნდა იყოს, რადგან ქვეყანა ერთდღეს არ იცვლება და ხალხის წინაშე პასუხისმგებლობის შემგნები კაცი აქ ცოტი მოიპოვება მთავრობის სხვა და სხვა დაწესებულებაში.

ჩამოვარდა აგრეთვე ლაპარაკი მაკედონიის შესახებ და სწორედ ის მოხდა, რასაც ჩვენ ვამბობდით წინა წერილებში. როგორც-კი ეროვნულ საკითხის სუნი დატრიალდა პარლამენტში, ყველანი ყალყზედ დადგნენ, ზოგიერთის ეროვნული თავმოყვარეობა შეილახა, ზოგიერთის რელიგიოზური; იქამდისაც კი მივიდნენ, რომ პირდაპირა სთქვეს, მაკედონიის სახელს სულ ნუ ვახსენებთო, ამან გამოიწვია სხვების პროტესტი—მაშ ნურც არაბეთსა და ქურთისტანს ვახსენებთო! „ეს სულ სხვა არისო",—იყვირეს არაბებმა და ქურთებმა, მაგრამ ის კი ვეღარა სთქვეს. თუ რად არის სხვა. რასაკვირველია, გულში ისა ჰქონდათ, რომ არაბეთი და ქურთისტანი სამუსულმანო ქვეყნებია და ამიტომ არიან „სხვანი"-ო! ორი დღის კონსტიტუცია ასე მალე ვერ განახორციელებს ერთა შორის „ძმობასა" და რასაც აქამდის იძახდნენ „ერთობაზედ", სრულიად განირჩევა იმისაგან, რასაც ნამდვილად საქმის დროს იტყვიან. ამას ზედ ერთვის კიდევ სჯულის საკითხი, რომელიც, მაგალითად, ერთსა და იმავე არაბს თავისათვისა და ქურთისტანისათვის ავტონომიას აღიარებინებს, მაკედონიისათვის კი მის საკუთარ სახელსაც ვერ გაამეტებინებს, და როდესაც საერთო საკითხზედ მივა საქმე—დეცენტრალიზაცია თუ ცენტრალიზაცია—მაშინ სულ აირევა ყველაფერი, გადიხლართება ცნებანი სჯულისა და ეროვნებისა და ჩვენი დეპუტატებიც საშინელ გასაჭირში ჩავარდებიან; თუ რომელი ცნება აიღონ სახელმძღვანელო პრინციპად ამ რთულ საკითხის გადასაწყვეტად.

მაკედონიის შესახებ ლაპარაკის დროს სწორედ ასე მოხდა: ამბავი მოვიდა მაკედონიიდან, რომ შეარაღებული რაზმები ისევ გაჩნდნენ, ისევ ებრძვიან ერთმანეთს ბოლგარელები, ბერძნები, რუმინიელები და სერბებიო. ვინ არ იცის, რა საშინელი და ძნელი საკითხია მაკედონიის საკითხი. აქ ერთმანეთს ეცილებიან ბერძნები, ბოლგარელები, სერბები, რუმინელები. პირველები თავიანთ უფლებას საფუძვლად ბერძნულ „იდეას" უდებენ, მაკედონია ერთ დროს ჩვენი იყო, ბერძნებით დასახლებული, იქიდან გამოვიდა ალექსანდრე მაკედონელი, რომელმაც ქვეყანა დაიპყრო, გაავრცელა ელინიზმი, საბერძნეთის ცივილიზაციაო; ეხლაც მაკედონიაში განათლებისა და სწავლის მისაღებ ენად ბერძნულია მიჩნეული, თვით არა-ბერძნები საჭიროდ სცნობენ ამ ენის შესწავლას, რომ ბარბაროსობიდან გამოვიდნენო; მაშასადამე, მაკედონია ჩვენი ისტორიულისა და კულტურულის უფლებით და არავის ნება არა აქვს, მეტადრე ბარბაროსს სლავიანს, მაკედონია დაისაკუთროს და მაკედონიის მოძრაობა ბოლგარულად, ან სერბულად დასახოს და არა წმინდა ბერძნულ-ეროვნულ მოძრაობადაო. ბოლგარელების არგუმენტი ძლიერ მარტივია: რადგან მაკედონიაში უმრავლესობა ბოლგარელია, ამიტომ მაკედონია ბოლგარიის გაუნთავისუფლებელი ნაწილია და ამიტომ ჩვენ ვცდილობთ შემოუერთოთ იგი თავისუფალ ბოლგარიას, განვათავისუფლოთ იგი როგორც ოსმალთაგან, ისე ბერძნის ეკლესიისაგან, რომელიც ბოლგარელ მაკედონელებს ძალით უქვემდებარებს ბერძნის პატრიარქსაო და სხვა. სერბების არგუმენტი დიდი დუშანის იმპერიაა, რომელშიაც ერთ დროს მაკედონიაც შედიოდა. რუმინელებს კიდევ თავიანთი თვალთსაზრისი აქვთ—ერთ დროს ეს ხალხი ლათინურად, რუმინულად ლაპარაკობდა, ამას ამტკიცებს ეხლა კუცოვალახების არსებობა მაკედონიაში, მაშასადამე მაკედონიის ერთი დიდი ნაწილი ჩვენიაო და სხვა.

ეს კიდევ არაფერი: ალბანელები მრავლადა არიან მაკედონიაში. მათი ეროვნული თავმოყვარეობა იღვიძებს. ისინი უკვე გაიძახიან—„მაკედონელები" სწორედ ჩვენა ვართ, ახილევსის შთამომავლები, ნამდვილი პელაზგები! მართალია ეშმაკი ულისსი და საძაგელი თერსიტი ბერძნები იყვნენ, მაგრამ ალექსანდრე მაკედონელი და ახილლესი ალბანელები იყვნენო! ვინა ყრიან ბერძნები და სლავიანებიო! თურქებს ხომ ის უფლება და არგუმენტი აქვთ, რომ ისინი დღეს ფაქტიურადა ჰფლობენ მაკედონიას და, რასაკვირველია, სწორედ ამიტომ თავისადა სთვლიან. ებრაელები რომ ძალიან თავ-მდაბლები არ იყვნენ, შეიძლება მათაც ამოეღოთ ხმა, რადგან სალონიკში, მაკედონიის უდიდეს ქალაქში, ისინი დიდ უმრავლესობას შეადგენენ—თითქმის 50,000 სულს.

მოდი და ახლა ასეთ მდგომარეობაში მყოფი ქვეყანა იმითი დაამშვიდე, რომ პირდაპირ უარ-ჰყავი მისი არსებობა! საშინელი ბრძოლაა ამ პრეტენდენტთა შორის და სწორედ ამიტომ მაკედონიის საკითხი უდიდეს საკითხად გადაიქცა მეცხრამეტე საუკუნეში, როგორც კერძოდ ოსმალეთისათვის, ისე მთელის ევროპისათვის. ერთის მხრით ყველა ესენი ურთი-ერთის სისხლის მთხეველნი, რომელნიც „სამშობლოს" ანთავისუფლებენ, მეორეს მხრით ოსმალეთი, რომელსაც არაფრის გულისათვის არ უნდა დაჰკარგოს მაკედონია, მესამეს მხრით სახელმწიფონი, რომელთაც სამკვდრო-სასიცოცხლო ინტერესები აქვთ თვით მაკედონიაში, როგორც, მაგალითად, ავსტრიას და იტალიას, და აღმოსავლეთში საერთოდ, როგორც რუსეთსა და ინგლისს,—აი როგორ არის საქმე დახლართული. სახელმწიფონი და თვით ოსმალეთიც განუწყვეტელ ცდაში არიან, როგორმე ბოლო მოუღონ საქმის ასეთ მდგომარეობას „რეფორმებით". ამიტომაც გაჰგზავნეს მაკედონიის „ინსპექტორად" 1902 წელს ეხლანდელი ოსმალეთის მინისტრ-პრეზიდენტი ჰილმი-ფაშა, რომელმაც ვითომ და მოაწესრიგა საქმეები დროებით, დიდი ღონისძიება იხმარა განეხორციელებინა ავსტრიისა და რუსეთის მიერ შედგენილი პროგრამა, დ დი დახმარება აღმოუჩინა ევროპის მიერ დადგენილ საფინანსო კომისიას, ჟანდარმერიას, სამოქალაქო აგენტურასა, მაგრამ არ გასულა მცირე ხანი, რომ ოსმალეთში კონსტიტუციაც დამყარდა და მაკედონიაში კი ისევ თავი იჩინა ძველმა მტრობამ ერთა შორის და ოსმალთა წინააღმდეგ. განახლებულ ოსმალეთის წინ ეს პრობლემა ისევ აღიმართა მთელის თავის სიძნელითა, პასუხი დეპუტატების დიდი ნაწილისა კი იყო—მაკედონია არ არსებობსო! გაგონილა ასეთი წესი უძნელეს საკითხის გადაწყვეტაში?! თუ ასე განაგრძო ოსმალეთის პარლამენტმა, რუსეთის პარლამენტივით დაემართება—თავის თავს თვითონვე მოიკლავს თავისისავე უნიჭობითა და უმოქმედობით.

**უსახლ-კარო.**

(შემდეგი იქნება)

დან ვიცით, ამას წინად მოხდა სამხრეთ სპარსეთში, სახელდობ,-ლურისტანში იქ სულ 128 სოფელი დანგრეულა. მიწის ქვეშ დიდი ხმაურობა არა ერთხელ ისმოდა თურმე 10 იანვრიდან 1 თებერვლამდე, ბევრგან გორები ჩამოწვა. მიწა რამდენისამე ვერსის სიგძეზე გასქდა თურმე. დიდძალი მსხვერპლი შეიწირა მიწის-ძვრამ. რამდენიმე ათასი კაცი დაიღუპა. მრავალი გაიქცა სხვა მხარეს და აუარებელი ხალხი დარჩა უბინაოდა და უმწეოდ.

**თეირანში.**

„ნოვ. ვრემია“-ს კორესპონდენტი იუწყება, რომ თეირანის ქალაქის თვითმართველობამ ფული აღარ მისცა ელექტრონის ამხანაგობას და ამის გამო უკვე ორი თვეა თეირანის ქუჩებს ელექტრონით აღარ ანათებენო. უცხოეთის საელჩოები თავს არ იწუხებენ თეირანის განათებისათვის, და ასეთ საშიშ დროს თეირანს მარტო მთვარის შუქი-და ანათებსო.

**რეშტში.**

რეშტში სიწყნარეა. რევოლიუციონერები უოჩაღად იქცევიან. მათ ყოველ დღე მოსდით მშველი მეომრები ევროპიდან. კომიტეტში პანოვს გარდა მონაწილეობას იღებს ორი ახალგაზდა ოსმალელი ოფიცერი. რეშტის მოედანზე ყოველ დღე ახდენენ. აღლუმებს და სროლაში ვარჯიშობენ. რევოლიუციონერებმა თავიანთ ფორმად მიიღეს კავკასიური ტანისამოსი.

**რევოლიუციონერებს იარაღი მოუვიდათ.**

ისპაჰანში დიდძალი ახალ სისტემის თოფი მოუვიდათ რევოლიუციონერებს საფრანგეთიდან.

**ლიახოვი ფულსა თხოულობს ყაზახებისთვის.**

პოლკოვნიკმა ლიახოვმა მოსთხოვა შაჰს, რომ იმ ყაზახებს, რომლებიც თავრიზს ახლო ენიუდ-დოვლეს ჯარში იმყოფებიან, ახლავე სრულად მიეცეს ჯამაგირიო. წინააღმდეგ შემთხვევაში, ჩემ ხელქვეით ყაზახებს თეირანში დავაბრუნებო. ორი თვეა თურმე ყაზახებს ჯამაგირი არ მიუღიათ.

**რევოლიუციის გაძლიერება.**

მეშედში ხალხი აჯანყდა იმის გამო, რომ მთავრობამ გადააყენა ხალხის სასაყვარელი გუბერნატორი რუკნუ-დოულე. დათხოვნის მიზეზი შემდეგია: ვინმე წარჩინებული სპარსელი ნაღრუ-დოულე ცდილობდა მეშედის გუბერნატორის თანამდებობის მიღებას; მთავრობამ 200 ათასი მანეთი გამოართვა მას ქრთამად და დანიშნა მეშედის გუბერნატორად. ხალხმა უუმბარი ესროლა შაჰის ჯარის უფროსს მეშ...ში, ხელში ჩაიგდო ფოსტა და მოჰკლა ფოსტალიონი. ბახტიარების ხანმა დეპეშა გაუგზავნა შაჰსა, თავისი ერთგულება გამოუცხადა და კონსტიტუციის აღდგენა მოსთხოვა. ბახტიარების ხანმა დიდძალი იარაღი შეუკვეთა საზღვარ-გარედ. იარაღი უკვე მოვიდა ბაშირში. ბახტიარებს იარაღი თეირანისკენ გასალაშქრებლად სჭირიათ. შაჰის მთავრობა თითქო დამბლადაა ჩავარდნილი. თეირანის მცხოვრებნიც ძლიერ გააგულისა შაჰის ჯიუტობამ, თეირანელები აჯანყებას აპირებენ კონსტიტუციის მოსაპოვებლად. თეირანში დაპალი ხალხი და შაჰის ჯარის-კაცები აღელვებულნი არიან; ჯარისკაცები, რომლებსაც ჯამაგირი არ ეძლევათ, მშვიდობიან ხალხსა სცარცვენ თეირანის განაპირა უბნებში. შაჰის მთავრობა იმდენად უძლურია, რომ ხმასაც ვერა სცემს თავის ურჩად ჯარის-კაცებს.

**თათბირი სპარსეთის საქმეთა შესახებ.**

ამ დღეებში ჩვენ ცნობა გვქონდა მოყვანილი, რომ პეტერბურგში საგანგებო თათბირს მოახდენენ სპარსეთის საქმეთა შესახებ და მოილაპარაკებენ იმ ბეჯით ღონისძიების შესახებ, რომელიც რუსეთმა უნდა მიიღოს შაჰის მთავრობის წინააღმდეგო. „გოლოს მოსკვი“ ირწმუნება, რომ ეს ცნობა ტყუილიაო: როგორც სარწმუნოდ გავიგეთ, ამ თათბირის დროს არავითარ ბეჯით ღონისძიებაზე არ ექნებათ ლაპარაკიო. მართალია თათბირი გაიმართება, მაგრამ მოლაპარაკება ექნებათ მხოლოდ სპარსეთიდან კონსულებისაგან მიღებულ ცნობების შესახებო.

## თეატრი და ხელოვნება

**ფარსი ს. საბუროვისა.** მომავალ კვირიდან ბ. საბუროვის ფარსი კიდევ აპირებს რამდენიმე წარმოდგენის გამართვას. აღნიშნული ანტრეპრენიორი წარსულ კვირაში დადგმულ წარმოდგენებიდან მიღებულ კარგი შემოსავლით, ეტყობა, დარწმუნდა, რომ ტფილისის საზოგადოებას მოსწონს და ეტანება, ასეთ საეჭვო ღირსების გასართობებს.

როდესაც აკვირდებით და ჰხედავთ რომ მაღალ კულტურა-ხელოვნების განვითარებასთან ერთად, ფეხს იკიდებს და ვითარდება კაცის ბიწიერ გრძნობისადმი მისწრაფება, მისს მოურიდებლად კულტად ქცევა და როცა, ამასთან, განვითარებული წვრი საზოგადოებისა, ის გზის მაჩვენებელი და კაცობრიობის საუკეთესო იდეალების მატარებელი, როგორიც თავის დანიშნულებით უნდა იყოს მწერალი, ადამიანის ისეთ საძაგელ გრძნობას, როგორიცაა კელბა-მოსილება, დაცვა-დათვრვის მაგიერ, განგებ აშიშვლებს, საქვეყნოდ-სამასხაროდ ჰხდის და დრამატიულ ფორმაში გამოხვეულს აწვდის მაყურებელს, უნებლიეთ გული გტკივა ამ კაცობრიობის მესვეურთა ასეთ დაკნინებისა, დაბეჩავების გამო.

და ასეთი, უკაცრაული პასუხია, „ხელოვნება“, არა თუ ფეხს იკიდებს, თვალსაჩინოდაც კი ვითარდება მხოლოდ იმიტომ, რომ, სამწუხაროდ, საზოგადოების საგრძნობ ნაწილში დაბუდებულია მიდრეკილება იმგვარ უსირცხვილობისაკენ და, უფრო სამწუხაროდ, არიან იმ ჯურის კალმოსან-კრიტიკოსნი, რომელნიც არა თუ ღმობიერად ეპყრობიან გონების ასეთ ნაცოდვილარს, არამედ, ხშირად, აქებენ და აქეზებენ კიდევაც.

ტყუილად კი არ ამბობს ლ. ტოლსტოი: „ყოველი ცრუ ნაწარმოები, ნაქები კრიტიკის მიერ, წააგავს ღია კარებს, სადაც მაშინვე შეიპრებიან ხოლმე პირფერნი ხელოვნებისა“.

გ. ა—ციხელი.

## რუსეთი

✦ **ინჟინერ რუტენბერგის წერილი.** გაზ. «რუსკ. სლოვო»-ში პარიზიდან შემდეგი დეპეშაა დაბეჭდილი: „გაზეთ „მატენ“-ში დაბეჭდილია წერილი ინჟინერ რუტენბერგისა, რომელმაც გაპონი მოჰკლა. რუტენბერგი სწერს. ს.-რევ. პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მომანდო მომეკლა რაჩკოვსკი და გაპონი მას შემდეგ, რაც გაპონმა რაჩკოვსკის წინადადება მისცა, პარტიულ სამხედრო ორგანიზაციას გავცემ 100,000 მანეთადაო. ცენტრალურ კომიტეტის სახელით რუტენბერგთან მოლაპარაკება გაუმართავს აზეფს. აზეფს ყველაფერი რაჩკოვსკისთვის შეუტყობინებია, რომ იგი დანიშნულ ალაგას გაპონთან მოსალაპარაკებლად აღარ მოსულიყო. შემდეგ აზეფს ცენტრალურ კომიტეტის ყალბი ბრძანება გადაუცია რუტენბერგისთვის, მარტო გაპონი მოეკლაო. სხვათა შორის რუტენბერგი სწერს, გაპონის მკვლელები მის ღალატში გაპონისავე აღსარებით დარწმუნდნენო“.

✦ **საეკლესიო კრება.** რუსეთის გაზეთების სიტყვით, მაღალ წრეებში გადაუწყვეტიათ სრულიად რუსეთის საეკლესიო კრება შემოდგომაზე მოიწვიონ.

✦ **სიკვდილით დასჯა.** სიკვდილით დასჯა გადაწყვეტილი აქვთ: ეკატერინოსლავში—6, სევასტოპოლში—1, კიევში—3, ვარშავაში—1, ხარკოვში—2 კაცს. სიკვდილით დასაჯეს: პოლტავაში—1, კიევში 2 კაცი.

✦ **დეპუტაცია.** ჩვენ უკვე გვქონდა ცნობა, რომ ციმბირის ადგილობრივმა მცხოვრებლებმა („ინოროდცებმა“) შუამდგომლობა აღძრეს სახელმწიფო სათათბიროს წინაშე, ნება მოგვეცით სათათბიროში ჩვენი წარმომადგენელი ვიყოლიოთო. 26 თებერვალს ქალაქ ნოვო-ნიკოლაევსკიდან დეპუტაცია ჩასულა პეტერბურგს. დეპუტაციას უნახავს სახელმწიფო სათათბიროს ზოგიერთი და ციმბირის დეპუტატები. დეპუტაციას დეპუტატებისთვის განუცხადებია, ციმბირის ადგილობრივ მდგომარეობის გასაუმჯობესებლად საჭიროა, რომ მათ სახელმწიფო სათათბიროში წარმომადგენლები ჰყავდეთო. 3 ივნისის კანონმაო, უთქვამს დეპუტაციას, რუსეთის არა რუსთა ელემენტალური უფლებებიც კი დაარღვია. არა რუსები იხდიან სახელმწიფო გადასახადებს, თავიანთ შვილებს ჯარში ჰგზავნიან და, მიუხედავად ამისა, ადმინისტრაციის თვითნებობის და განსაკუთრებულ წესდების გარდა, მათ სხვა არაფერს აძლევენო. სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატებს დეპუტაციისათვის აღუთქვამთ, ამ საკითხს სათათბიროში აღვძრავთო.

✦ **ოდესის უნივერსიტეტში.** როგორც ვწერდით, ოდესის უნივერსიტეტის სტუდენტები ძალიან აღელვებულნი არიან პროფ. ზანჩევსკის და ვასკოვსკის გასამართლებით. ამის გამო უნივერსიტეტის ადმინისტრაციას უნივერსიტეტის საბჭოში პოლიციელთა გამოძახება ურჩევია და მაშინ მოუყენებია...

✦ **ფინლიანდიაში.** როგორც ვიცით, ფინლიანდიას თავისი „ებრაელების საკითხი“ აქვს. ამ დღეებში სენატს ებრაელების შესახებ კანონ-პროექტი შეუმუშავებია. კანონ-პროექტით ის ებრაელები რომელნიც ფინლიანდიაში დაიბადნენ, ან 10 წელიწადს სცხოვრობენ იქ ფინლიანდიის მკვიდრ მცხოვრებლად ჩაითვლებიან. ამასთანა ებრაელებს მოქალაქის ყოველნაირი უფლება ექნებათ, მათ ადგილობრივ მკვიდრებთან ერთად შეეძლებათ საზოგადო და სახელმწიფოებრივ სამსახურში შესვლა. რაც შეეხება იმ ებრაელებს, რომელთაც ფინლიანდიაში ახლად მიდიან, მთავრობის ნება დაურთველად სამი თვე შეუძლიანთ იცხოვრონ. სამი თვის შემდეგ გუბერნატორს შეუძლიან წელიწად ნახევარი გააგრძელოს ეს უფლება. შემდეგ კი მათი დარჩენა ქალაქის კომუნაზეა დამოკიდებული. ფინლიანდიის პროგრესული პრესსა სიხარულით აღნიშნავს ამ კანონ-პროექტს. მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ, რომ ეს კანონ-პროექტი მინისტრთა საბჭომ უნდა განიხილოს და გასაკვირველი არ არის, რომ „სახელმწიფოებრივ მთლიანობის დაცვამ“ თავი გაიტანოს და კანონ-პროექტი განუხორციელებელი დარჩეს.

## წერილი რედაქციის მიმართ

**(ჩემს მოწინააღმდეგებს).**

ბ-ნო რედაქტორო! „დროების“ მე-10 ნომერში დაიბეჭდა წერილი „რედაქციის მიმართ“, რომელშიაც მოსამართლე ამხანაგები, გარდა ა. ცხადაძისა, სამართალში მიწვევენ. მეორე დღესვე გამოვგზავნე რედაქციაში თანხმობის წერილი, მაგრამ რაღაც მიზეზებისა გამო არ დაიბეჭდა. *) ხელ-ახლა ვგზავნი უფრო მოკლე წერილს და ვუცხადებ მათ, რომ მე თანახმა ვიყავი და ვარ სამართალში გაყოლისა, ხოლო რადგან წერილში სიმართლისათვის გადაუხვევიათ, საჭიროდ ვცნობ ვაღიარო შემდეგი: 1. მე მათთვის უარი არ შემითვლია, ამას დაამტკიცებს მათ მიერ გამოგზავნილი ს. ანთაძე; 2. ისინი წერილში თითქმის უარს უბნობენ, საქმე არ გაგვირჩევიაო; საქმე რომ გავარჩიეთ და განაჩენზედ ხელი მოვაწერეთ, ამას დაამტკიცებს მეოთხე მოსამართლე ამხანაგი ა. ცხადაძე, 3. მე არა ვარ ბრალმდებელი ვ. ბურჯანაძისა; ბრალი დასდო ნ. აბზიანიძემ და ნ. მესხმა, საამხანაგო სამართალმა გაარჩია მათი საქმე და თან მათი შერიგებაც დაადგინა, თუ კი განაჩენი სისრულეში მოეყვანათ 20 ნოემბრიდან 20 იანვრამდე; 4. ამხანაგები ბრალსა მდებენ „რათ დაბეჭდეო“, როდესაც მაგათ დადგენილება სისრულეში არ მოიყვანეს, მერე წამართვეს და მით შეურაცხყოფა მომაყენეს, შემდეგ მეც იძულებული გავხდი წერილი დამებეჭდა. „დროების“ მე-43 ნომერში დაიბეჭდა წერილი ვ. ბურჯანაძისა. თავის გამართლების მაგიერ მე მაძლევს პასუხს და მლანძღავს ავლაბრულად. მოკლედ იმის წერილის შინაარსი ეს არის: ნაცვლიშვილს არაფერი არ ესმისო, არავითარი სასამართლო არ ყოფილაო“. 22 ნოემბერსა განაჩენი გამოეცხადა მთლად მასწავლებელთა კრებას და თუ არა ყოფილა სასამართლო, კორპორაცია დაამტკიცებს და საბუთიც გამოჩნდება. „დროების“ მე—44 ნომერში დაიბეჭდა წერილი კორპორაციის სახელით, რომელზედაც ხელს აწერს ხუთი მასწავლებელი კაცი და ორი ქალი. ჩემს საყვედურს მაშინ წავიღებ უკან თუ ზემოხსენებული პირნი აღიარებენ სიტყვიერ დადგენილებას, რომელიც კორპორაციამ მიიღო მე-4 სკოლის გამგის არჩევის დღეს აბზიანიძის შესახებ.

**ლადო ნაცვლიშვილი.**

*) ძალიან გვაოცებს ბ-ნ ნაცვლიშვილის საყვედური. მას რომ მარტო „თანხმობის“ წერილი გამოეგზავნა, ჩვენ მეორე დღესვე დავბეჭდავდით, მაგრამ მაგარიც ის არის, რომ თანხმობას თან უშველებელი განმარტებაც ახლდა, რის დაბეჭდვაც შეუძლებლად ვცანით. ჩვენ ორივე მხარისაგან მოგვდის წერილები, მაგრამ არა ვბეჭდავთ, რადგან, ჩვენის აზრით, შეუძლებელია ასეთი საქმის გამორკვევა პოლემიკითა და წერილების ბეჭდვით და კარგი ჰქნეს, რომ მოწინააღმდეგეებმა სამედიატორო სამართალს მიმართეს. ამის შემდეგ, განაჩენის გამოტანამდე საჭირო აღარ იყო წერილების ყრა. საზოგადოდ უნდა აღვიაროთ, რომ ჩვენ ბ-ნ ნაცვლიშვილის პირველი წერილის დაბეჭდვაც არ გვინდოდა, იმდენის დაწვრილმანებისა და დაკნინების მაჩვენებელი იყო იგი. დავბეჭდეთ მხოლოდ ბევრის ხვეწნისა და მუდარის შემდეგ.

რედაქცია.


# განცხადებანი

## თესლეულობის

მაღაზია კიწმარაშვილის და ამხ.-სა **ქუთაისში**, პუშკინის ქუჩა, უპრავის ქვეშ.

მიღებულია საუკეთესო ჯიშების იონჯის, სამყურის, კონდრების, ბუოლის, ეკლის ხის (гледичъ) და ყოველნაირ ბოსტნეულობის, ყვავილების და სხვა თესლეულობა. აქვე იყიდება ნამყენ ხეხილების ნერგები. მსურველთ პრეისკურანტი ეგზავნებათ მუქთად. (25—ქვ.—23)

კერძო სამკურნალო

## დოქტ. ნავასარდიან სა

დაარსებულია 1880 წელს.

(ვორონცოვას ძეგლის პირდაპირ)

ყოველ დღე, კვირეებს გარდა

**დილით:**

**ბ. ა. ნავასარდიანი:** 11—12 ს. ქირურგიული, ვენერიული (სიფილ.) და საშარდე.

**ყ. მ. ჩიქოვანი:** 9 ნახ.—10 ს. თვალისა, შინაგან და ნერვებისა.

**ზ. ი. ბაბანასოვი:** 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

**მულინი:** 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.

**მ. გ. ავეტისიანცი:** 11—12 ნახ. ს. კანისა, სიფილისი, ვენერ. და ქირურგ.

**ა. მ. პუგინოვი:** 12—1 ს. შინაგან, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.

**ა. ი. კარაპეტიანცი:** 1—1 ნახ. ს. შინაგან და საბავშვო.

**ა. მ. ტურბოვიჩი:** 1 ნახ.—2 საათამ. საბებიო და ქალებისა.

**საღამოთი:**

**ი. ვ. გეევსკაია-ენგელი:** 6—6 ნახ. ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

**ი. დ. მარციშევსკი:** 6—7 ს. შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილების აცრა.

რჩევა 50 კაპ. ღარიბებს უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები შეთანხმებით. სამკურნალოს დოქტორი

მედიც. დოქტორი **ბ. ა. ნავასარდიანი.** (წ.—1—41)

## სამკურნალო

**გარედან მოსიარულეთათვის**

**ექიმი ა. ი. გრიგორიანისა.**

რიყის ქ., ს. N 78, (სათივე მოედ. პირდაპირ.)

**ს. მ. ახპისოვი**—ყელისა, ცხვირისა და ყურისა 2—3 საათამდე.

**ა. ი. გრიგორიანი**—ქირურგიული ავადმყოფობანი 12—1 ს.

**ს. ზ მირზოევისა**—თვალის ავადმყოფობანი 12—1 ს.

**ი. ა. ფრიდონოვი**—შინაგანი და ბავშვის ავადმყოფ. 1—2 ს.

**ს. ა. თარხანოვი**—ბებიაობა, ქალისა და ბავშვის ავად. 9 ნახ.-დან 10 ნახ.-ს.-მდე.

**ა. ი. შახ-აზიზოვი**—საშარდე, ვენერ. (სიფილ.) და კანისა 2—3 ს.

**ნ. ბ. ნარიმანოვი**—შინ. და ქალ. 11—12 ს., 5—6 ს.

**ე. მ. ზვიაგინა**—კბილ. 9—11 ს.

**ფასი რჩევისათვის 50 კაპ.**

ოპერაციები და კონსულტაციები შეთანხმებით.

სამკურ. გამგე დ-რი **ა. ი. გრიგორიანი.** (100—ხალ.—11)

## სანერგე ავსარქისოვისა

ჰყიდის ხეხილის ნერგებს. ხეხილი საუკეთესო ჯიშისაა: საზღვარ-გარეთელი, რუსული და ადგილობრივი. კატალოგები მსურველს უფასოდ ეგზავნება. ადრესი: Ст. Скра Закав. Каз. Жел. Дор. Авсаркисову. (10—10)

Заграничный горный инженер съ правомъ заведыванія и отвѣтственнаго производства горныхъ работъ ищетъ мѣста. Прошу писать, Баку до востребованія. Предъявителю 1 рубля № 591381. (2—ფ—1).

## ამხანაგობა „სორაპანი“

**მიიღება ხელის მოწერა**

## ქართველი და უცხოელი მწერლები

**წიგნი მეორე**

## მოლიერის დრამატიული თხზულებანი.

1. **კრიუანგი,** კომ. 5 მოქმედებად 2. **ჟორჟ-დანდენი,** კომ. 3 მოქმედებად. 3. **სკაპენის ცუღლუტობა,** კომ. 3 მოქმედებად. 4. **სიყვარული მხატვრობს,** კომ. 1 მოქმ. 5. **პრანჭია ქალები,** კომ. 1 მოქმედებად.

**თარგმანები:** აკაკისა, დიმიტრი ყიფიანისა, ელენე ლორთქიფანიძისა და ივ. მაჭავარიანისა.

წიგნი იქნება იმავე ზომისა, როგორც ვაჟა-ფშაველას „ცრემლებია“—200 გვერდი. ფასი ხელის მომწერთათვის 25 კაპ. ტფილისში მიიღება ხელის მოწერა: წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში, კიკნაძის წიგნის მაღაზიაში, სახაზინო თეატრის პირდაპირ, გოლოვინის პროსპ., «ცოდნის» წიგნ. მაღაზიაში ს. მერკვილაძესთან, „ალიონის“ წიგნის მაღაზიაში, კიროჩნის ქ., სახალხო სახლის პირდაპირ. პროვინციაში კი ყველა ჟურნალ-გაზეთების გამყიდველ აგენტებთან.

ვისაც სურს ფოსტით გამოიწეროს, მან უნდა გამოგზავნოს 25 კაპ. წიგნის ფასი და 10 კაპ. ფოსტის ხარჯი. შეიძლება ფულის მაგიერ მარკების გამოგზავნაც. ადრესი: Тифлисъ, Товарищество „Сорапанъ“ М. Гачечиладзе.

**ხელის მოწერა დაიწყება 28 თებერვლიდან და გათავდება 12 მარტს. შემდეგ კი ხელის მოწერა აღარ მიიღება. წიგნი გასასყიდად არ გამოვა.**

დაბეჭდილი წიგნი მოლიერისა დაურიგდება ხელის მომწერთ 1 აპრილს.

მზადდება დასაბეჭდად 1. **მოთხრობები**—ლალიონისა. 2. **მეფე ლირი**— შექსპირისა, თარგ. ილია ჭავჭავაძისა და ივ. მაჩაბელისა. 3. **მოთხრობები**—ახალგაზდა რუსს მწერლებისა. 4. **კომედიები**—ანტონოვისა. 5. **ახალი ჩანგი:** სცენები, ლექსები, პოემები, დრამატიული ნაწარმოებები, მხატრული სურათები და სხ. 6. **ორლეანელი ქალი**—შილერისა, 5 მოქ. ტრაგედია, თარგმანი ვაჟა ფშაველასი. 7. **მოთხრობები**—ოსკ. უაილდისა. 8. **მორჩილი**—რომანი ლ. არდაზიანისა. (5—3)

**გამოვა 1909 წ. საყმაწვილო სურათებიანი ჟურნალი**

**წელიწადი მეხუთე.** „**ნაკადული**“ **წელიწადი მეხუთე.**

ხელის მოწერა მიიღება ტფილისში ნაკადულის რედაქციაში, გოლოვინის პროსპექტზედ, ზუბალაშვილის სახლში N 8. და წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების მაღაზიაში (თავად-აზნაურობის ქარვასლაში).

**1909 წლის 1 იანვრიდან 1910 წ. 1-ლ იანვრამდის**

მიეცემა წლიურ ხელის მომწერლებს

24 წიგნი ჟურ. „ნაკადულის“ მცირე წლოვანთათვის. 12 წიგნი ჟურ. „ნაკადულის“ მოზრდილთათვის. 36 სურათი გამოჩენილი მხატვრებისა.

გარდა ამისა მიეცემათ პრემიათ: **„რას გვიამბობს ოთახი“**, ავენარიუსისა ვინც წლიურ ფასს სრულად არ შემოიტანს პრემია არ მიეცემა.

| | |
|---|---|
| ფასი წლიურად ხუთი მანეთი. | მცირე წლოვანთათვის 24 წიგნი სამი მანეთი. |
| ნახევარი წლით სამი მანეთი. | მოზრდილთათვის 12 წიგნი სამი მანეთი. |
| საზღვარ-გარედ წლიურად—7 მანეთი. | ნახევარ წლით . . . . —4 მანეთი. |

ხელის მოწერა მიიღება წლიურად და ნახევარი წლით. ფულის შემოტანა შეიძლება ნაწილ-ნაწილად.

რედაქტორი **მ. ი. დემურიასი.**

(5—ზ.—5) გამომცემელი **თავ. პ. ი. თუმანიშვილი.**



სააქციონერო საზოგადოება

## „გრამოფონი“

**ტფილისის განყოფილება, გოლოვინის პროსპექტი, 9,**

ნებას აძლევს თავის თავს, მოაგონოს როგორც პატივცემულ მუშტარს, ისე ყველა იმას, ვისაც არა გაუგონია რა მე-XX საუკუნის ახალ გამოგონებაზე— ხმის ამომცემზე, რომ **ყველა ოჯახისთვის კმაყოფილებისა და სიხარულის მომგვრელი არის.**



## ✦ გრამოფონი ✦

საზოგადოების ფირფიტებით, რომლებზედაც დახატულია საქარხნო ნიშანი

## „მწერავი ანგელოზი“.

მომავალ დღესასწაულებისა გამო ვურჩევთ ყველას შეიძინოს „გ რ ა მ ო ფ ო ნ ი“, როგორც საუკეთესო თანამედროვე საჩუქარი.

TRADE MARK "GRAMMOPHON"

აპარატები არის 30 მანეთიდან დაწყებული 100 მან და უფრო ძვირიც: ფირფიტები 75 კაპ.-დან 3 მ ნ. და უფრო ძვირი.

ვურჩევთ ყველას შეიძინოს მთელი კომპლექტები ფირფიტებისა, რომლებშიაც სავსებით არის ასრულებული მთელი ოპერები და ოპერეტები, აგრეთვე ცეკვა, რაიცა შეძლებას აძლევს ყველას თავის ოჯახში მოისმინოს ოპერა ან ოპერეტა ან და საორკესტრო მუსიკაზე გამართოს საცეკვაო საღამო.

**მოგვყავს აქვე ის ნაწარმოებნი, რომლებისაც სრული კომპლექტებია:**

| საოპერეტო | საოპერო: | საცეკვაო: |
|---|---|---|
| „ლამურა“ | „ფაუსტი“ | „შაკონ“ |
| „მხიარული ქვრივი“ | „რუსლან და ლიუდმილა“ | „ჩინური“ |
| „პრინცესსა დოლარებისა“ | „პიკოვაია დამა“ | „ლეკური“ |
| | „ევგენი ონეგინი“ | ცეკვა „ზეც“ და სხვა. |

არის მრავალი ფირფიტა ადგილობრივ სიმღერებისა, ცალ-მხრივი და ორ-მხრივი.

გთხოვთ ყურადღება მიაქციოთ საქარხნო ნიშანს მხოლოდ ეს ნიშანია იმის მაჩვენებელი, რომ ფირფიტა კარგია და არა ყალბი.

**პრეისკურანტები,** კატალოგები, სიები, აგრეთვე ყველა დაბეჭდილი მასალა რიგდება და იგზავნება უფასოდ.

მსურველს საზოგადოების სადგომში უფასოდ შეუძლიან მოისმინოს ფირფიტის დაკვრა.

**მაღაზიასთან სახელოსნოა. შეკეთება სულ იაფად შეიძლება.** (10—ხალ.—2)


სტამბა „სინათლე“, დიდი ვანქის ქუჩა, № 12. რედაქტორ-გამომცემელი ი. ს. აგლაძე.